პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 166 (9634) | ხუთშაბათი, 16 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

კიდევ უფრო გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე! — **„პრავდის“ 15/VII მოწინავე** (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. პარტიის თბილისის რაიონული კომიტეტების პლენუმები პარტიულ აქტივთან ერთად. მშრომელთა ხალხმრავალ კრებებზე (მე-2 გვერდი).

ჩვენი კალენდარი. — **გ. ბუხნიკაშვილი.** — დიდი რუსი მსახიობი (მე-3 გვერდი).

ლ. ლოლაძე. — კოლმეურნე ნოვატორი (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო თემაზე. — **ბ. ...** — ... უშლის ხელს კორეაში მშვიდობის დამყარებას (მე-3 გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

თბილისი (მე-4 გვერდი).

კიდევ უფრო გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე!

აშ დღეებში მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს პარტიული კომიტეტების პლენუმები აქტივთან ერთად, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, აგრეთვე მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის საერთო კრებები. პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და მშრომელთა კრებებზე განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ. ჩვენი ქვეყნის კომუნისტები და ყველა მშრომელნი გულისწყრომითა და აღშფოთებით სამარცხვინო ბოძზე აკრავენ საერთაშორისო იმპერიალიზმის ამ დაქირავებულ აგენტს და აცხადებენ, რომ მთლიანად და უსაზღვროდ უპერენ მხარს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას.

პარტიულ ორგანიზაციებში და მშრომელთა საერთო კრებებზე ამ საკითხის განხილვის მიმდინარეობა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი ბერიას საქმიდან იღებენ პოლიტიკურ გაკვეთილებს, აკეთებენ საჭირო დასკვნებს თავიანთი შემდგომი მუშაობისათვის კომუნიზმის ასაშენებლად.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნა შემდეგია: პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მთელ მუშაობაში, კომუნისტური მშენებლობის ყოველ უბანზე, ყოველგვარ ვითარებაში საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა რევოლუციური სიფხიზლე.

სიფხიზლის ყოველი ღონისძიებით გაძლიერების საჭიროებას საბჭოთა ადამიანებს უკარნახებს კაპიტალისტური გარემოცვის არსებობა. რაც უფრო წარმატებით მივდიოთ წინ, მით უფრო მეტ გაბოროტებას იჩენს საერთაშორისო რეაქცია. იგი განუწყვეტლივ აძლიერებს ცდებს — ხელი შეუშალოს სსრ კავშირში კომუნიზმის ძლევამოსილ მშენებლობას, იყენებს ყოველგვარ საშუალებებს. ამას მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორია, მოწმობს მთელი თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, რომელსაც ახასიათებს ერთი მხრივ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების განუხრელი ზრდა და მეორე მხრივ იმპერიალისტური ბანაკის ძალების დასუსტება.

შეუფერებელი სიძლიერითა და შემოქმედებითი ძალებით აღსავსე ჩვენი საბჭოთა სამშობლო მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის მშენებლობის გზით. სოციალისტურ მშენებლობაში ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. საბჭოთა მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას მოჰყვა სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის ზრდა, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მსოფლიო მოძრაობის სერიოზული ამამაღლება. ფაშისტებმა და იზრდება მუშათა მოძრაობა მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში. სულ უფრო მეტი გაქანება ეძლევა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ყველა ეს ფაქტი იწვევს იმპერიალისტთა დიდ შეშფოთებას, განაპირობებს რეაქციული იმპერიალისტური ძალების მკვეთრ აქტივიზაციას. ისინი მიმართავენ ბრძოლის ყველაზე უკიდურეს და მწვავე საშუალებებს, რათა ძირი გამოუთხარონ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის და უწინარეს ყოვლისა მისი წამყვანი ძალის — საბჭოთა კავშირის მზარდ ძალიერებას. კაპიტალისტური სახელმწიფოები ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, აწყობენ სამხედრო ავანტიურებს, ცდილობენ გააძლიერონ ზემოქმედება სსრ კავშირზე, აწყობენ ყოველგვარ პროვოკაციებსა და დივერსიებს დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებში და როგორც აშკარად, ისე უმთავრესად ფარულად ხარჯავენ ამ პროვოკაციებზე მრავალ ასეულ მილიონ დოლარს.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მტრებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ჩვენი ქვეყნის შიგნით რამდენადმე მასობრივი სოციალური დასაყრდენი. ერთადერთი მათი დასაყრდენია ჯაშუშები და დივერსანტები, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში გარედან გზავნიან, ყოველგვარი ნაძირალები და პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილი ელემენტები.

ყველაფერი ეს გასაგები და კანონზომიერია. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სერიოზული დავიწყება იქნებოდა ანგარიში აღარ გაგვეწია იმ ფაქტისათვის, რომ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს და გამალებული აქტივობით მოქმედებს, რომ იგი ჩვენში გზავნის თავის აგენტებს, მუდამ ეძებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან ულალატონ სამშობლოს ინტერესებს და შეასრულონ იმპერიალისტთა დავალება საბჭოთა საზოგადოების ძირის გამოსათხრელად.

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის საბრძმედე საამქროს მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე № 2 ღუმელის ოსტატმა ამხ. ოვსიანიკოვმა თქვა:

— პარტია გვასწავლის არასოდეს არ ვივიწყებდეთ კაპიტალისტურ გარემოცვას და ვიყოთ ფხიზელნი. უნდა გვახსოვდეს, რომ იმპერიალისტი მტაცებლები მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სულ უფრო მზარდი ძლიერების წინაშე შიშით მიმართავენ უაღრესად ვერაგულ ხერხებს. ისინი ცდილობენ ჩაშალონ საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი, შეაჩერონ მისი წინსვლა კომუნიზმისაკენ. რის გაკეთება სურდა იმპერიალისტების კარნახით მათ აგენტს, პარტიისა და ხალხის საზიზღარ მტერს ავანტიურისტ ბერიას? მას სურდა ხელთ ეგდო პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა. საკითხავია, რისთვის? იმისათვის, რომ დაეგრძელა ჩვენი კომუნისტური პარტია, დაებრუნებინა საბჭოთა ქვეყანა წყეული კაპიტალისტური წარსულისაკენ. მაშ გვახსოვდეს, ამხანაგებო, ეს გაკვეთილი, ვიყოთ ფხიზელნი ისე, როგორც არასოდეს, და მაშინ ჩვენ ვამხილებთ და გავაუვნებლებთ საერთაშორისო იმპერიალიზმის ყოველ აგენტს, რა ხელოვნურადაც უნდა ინიღბებოდნენ ისინი.

ჩვენი პარტია საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალაა. პარტიის ხელმძღვანელობა საბჭოთა წყობილების სიმტკიცისა და უარყოფის გადამწყვეტი პირობაა. პარტია სარგებლობს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის უსაზღვრო ნდობითა და მხარდაჭერით, პატივისცემითა და სიყვარულით. პარტიის მიერ მრავალი წლის მანძილზე შემუშავებულ პოლიტიკას ხალხი იღებს როგორც პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მის სიცხოველეს, ეროვნულ ინტერესებს და ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის არ იშურებს ძალღონესა და შრომას. მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ასეთ მონოლიურ მდგომარეობას აქვს თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც. ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ მტრები, რომლებიც მოხერხებულად ინიღბებიან კომუნისტებად, ცდილობდნენ და კვლავაც შეეცდებიან გაძვრნენ პარტიის რიგებში კარიერისათვის, თავიანთი მტრული მიზნებისათვის, იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და მათი დაზვერვების დავალებებით ძირგამომთხრელი მუშაობისათვის.

სწორედ ამას მოწმობს ბერიას საქმე, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ამხილა როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი. დაკარგა რა კომუნისტის სახე და გადაიქცა რა ბურჟუაზიულ გადაგვარებულად, ბერია უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის ამზადებდა პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდების გეგმებს, რათა დაეგრძელა ჩვენი კომუნისტური პარტია და შეეცვალა პარტიის მიერ მრავალი წლის მანძილზე შემუშავებული პოლიტიკა კაპიტულანტური პოლიტიკით, რომელსაც საბოლოო ანგარიშით მოჰყვებოდა კაპიტალიზმის რესტავრაცია. მოქმედებდა რა დასაწყისში ძალიან ფარულად და შენიღბულად, ბერია გათავხედდა და აღვირი აიხსნა სწორედ მაშინ, როცა მოხდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ძირგამომთხრელი ანტისაბჭოთა საქმიანობის საერთო აქტივიზაცია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ამრიგად, ბერიას მხილება კვლავ და კვლავ ადასტურებს იმ უდავო დებულებას, რომ თუ მტრული ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთი ბოლო სსრ კავშირშია, მისი მეორე ბოლო აუცილებლად არის ჩვენს გარშემო მყოფ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. აქედან დასკვნა: საჭიროა თოფისწამალი ყოველთვის მშრალი ვიყოთ და კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ, საჭიროა დაუცხრომლად ვაძლიერებდეთ ჩვენს რევოლუციურ სიფხიზლეს.

მაღალი რევოლუციური სიფხიზლის სულისკვეთებით კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აღზრდა დროებითი და წარმავალი ამოცანა როდია, არამედ მთელი პარტიის, ყველა პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური საქმეა. არ შეიძლება უგულებელვყოთ ის ფაქტი, რომ თუმცა ექსპლოატატორული კლასები ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულია, კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის. ამავე დროს პარტიულ პროპაგანდასა და მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებენ. აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი პროპაგანდა, ჩვენი პოლიტიკური მუშაობა მასებში ზრდიდეს კომუნისტებსა და მთელ ხალხს კომუნიზმის საქმის უძლეველობის რწმენის სულისკვეთებით, პარტიისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, — ასეთია ამოცანა.

რევოლუციური სიფხიზლე ჩვენი იარაღია ყველა მტრის წინააღმდეგ. მაშ ვიქონიოთ ეს იარაღი ყოველთვის გალესილი, ბრძოლისათვის ყოველთვის გამზადებული. და მაშინ მტრების ყოველგვარი ხრიკი აუცილებლად ჩაიფუშება.

კიდევ უფრო გავაძლიეროთ კომუნისტებისა და ყველა მშრომელის რევოლუციური სიფხიზლე!

„პრავდის“ 15/VII მოწინავე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. პ. ბეშჩევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების საქმეში დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის გზათა მინისტრი ამხ. ბორის პავლეს-ძე **ბეშჩევი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 ივლისი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის 20 წელი

სვერდლოვსკი, 14 ივლისი. (საკ-დესი). 15 ივლისს ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანას ოცი წელი შეუსრულდა. ქარხანამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაში. თავისი არსებობის მანძილზე მან დაამზადა მრავალი საგლინავი დანადგარი, ასობით ნავთობსაბურღავი დანადგარი, სამკუბიანი ელექტროექსკავატორი, საგლინმერაცო მანქანები, სამსხვრეველები და სხვადასხვა წისქვილი. ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამზადებული მოწყობილობით აღჭურვილია ჩვენი ქვეყნის მრავალი ბრძმედი. უმნიშვნელოვანესმა მშენებლობებმა და ქვანახშირის ჭრილებმა ურალის მანქანათმშენებელი ქარხნიდან მიიღეს მოსიარულე ექსკავატორები. უკანასკნელი მოსიარულე ექსკავატორი, რომელიც ქვანახშირის მაღაროებში გაიგზავნა, აღჭურვილია 20 კუბური მეტრი ტევადობის ციცხვით. მისი წარმადობა ასეთი ტიპის წინანდელ მანქანებთან შედარებით გადიდებულია 30 პროცენტზე მეტით.

ქარხნის კოლექტივი ენერგიულად ნერგავს ახალ ტექნიკას, აუმჯობესებს შრომისა და წარმოების ორგანიზაციას. შემოქმედებითი შრომისათვის საწარმოს 42 მუშაკს მიეკუთვნა სტალინური პრემიის ლაურეატის სპატიო წოდება. მათ შორის არიან კბილმჭრელი ვ. პონომარიოვი, მჭედელი გ. კოვალენკო, ოსტატი ფ. დიშკანტი, ტექნოლოგები რ. შეველიოვი და ი. ანტონენკო, კონსტრუქტორები ბ. სატოვსკი და ბ. ხიმიჩი. ქარხნის 19 ინჟინერმა დაიცვა დისერტაცია და მიიღო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრმა ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივს მიულოცა საწარმოს ამუშავების ოცი წლისთავი და მადლობა გამოუცხადა ქარხნის მუშაკთა დიდ ჯგუფს.

ყუბანელი კომბაინერის თვალსაჩინო წარმატება

სტანიცა ლენინგრადსკაია (**კრასნოდარის მხარე**), 14 ივლისი. (საკდესი). ლენინგრადსკაიას მტს-ის კომბაინერმა სოციალისტური შრომის გმირმა ი. ს. ნესვიტმა ლენინგრადსკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. 8 ივლისს მან „სტალინეც-6“ კომბაინით საშემოდგომო ხორბალი აიღო 51 ჰექტარზე და თითქმის 3,5 დღიური ნორმა შეასრულა. 9 ივლისს მან ზუსტად ამდენივე გამოიმუშავა. ამ ორ დღეს ამხ. ნესვიტმა კომბაინის ბუნკერიდან გადმოტვირთა 2.200 ცენტნერი მარცვალი.

შემდგომ დღეებში მოწინავე მექანიზატორმა მოსავალი აიღო 30-35 ჰექტარზე და გუშინ წარმატებით დაამთავრა სეზონის დავალების შესრულება. 10 დღეში ამხ. ნესვიტმა აიღო 408 ჰექტარი პურეული და გალეწა 8.010 ცენტნერი მარცვალი.

ბაძავენ რა მოწინავეს, შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ სხვა კომბაინერებიც.

ლენინგრადსკაიას რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით მუშაობენ მკაზე და პურის დამზადებაზე. მათ უკვე აიღეს ნახევარზე მეტი მოსავალი.

ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებნი ესტონურ ენაზე

ტალინი, 14 ივლისი. (საკდესი). დღეს ვ. გორკის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ვ. მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

პოეტის მგზნებარე, პატრიოტული ნაწარმოებნი დიდი პოპულარობით სარგებლობენ ესტონელ ხალხში. 1940 წელს გამოვიდა ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებთა პირველი გამოცემანი ესტონურ ენაზე — „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“, ნაწყვეტი პოემიდან „კარგია“, „ლექსი საბჭოთა პასპორტზე“ და სხვ.

ომისშემდგომ წლებში ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებნი ესტონურ ენაზე გამოცემულია 100 ათასამდე ცალი საერთო ტირაჟით.

ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ესტონეთის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს ლექციებსა და მოხსენებებს ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ყველგან ეწყობა საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები.

საქონელი მოსახლეობისათვის

შალის ქსოვილეგი

ტელმანის სახელობის წმინდა და ტექნიკური მაუდის კომბინატმა 14 ივლისს თავისი პროდუქცია გაგზავნა მოსკოვში, დონის როსტოვში, ტამბოვში, მინსკში, ვილნიუსში, ლენინგრადის სამკერვალო საწარმოებში. მისი ასორტიმენტი მრავალფეროვანია. მომხმარებლები მიიღებენ დრაპებს — ქალის საპალტოე ველიურს, საკოსტიუმე ქსოვილებს—შევიოტს, ტრიკოს, შალეულს სხვადასხვა გაფერადების დემისეზონური და საზამთრო პალტოებისათვის.

ფიეიქრები სულ უფრო მეტ პროდუქციას უშვებენ, აფართოებენ ასორტიმენტს. წლის დამდეგიდან დამზადებულია 300 ათასი მეტრით მეტი შალეული, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. ეს არის უახლესი ტექნიკის გამოყენების შედეგი.

პროდუქციის გამოშვება მატულობს აგრეთვე მუშების ოსტატობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

წლის დამდეგიდან კომბინატის ფეიქრებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 182 ათასი მეტრი შალეული, აქედან 70 ათასი მეტრი — დაზოგილი ნართიდან.

მოდელის ფეხსაცმელი

ფაბრიკა „ვოსხოდმა“ სახელი მოიხვეჭა ლამაზი მოდელის ფეხსაცმლის გამოშვებით. პროდუქციის ოთხმოც პროცენტზე მეტი მზადდება ახალი მოდელებით. ფაბრიკის მემოდელეებმა მომავალი შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის შეიმუშავეს კიდევ 48 მოდელი — ქალის დათბუნებული ბეწვიანი ფეხსაცმლისა, მამაკაცის ყელიანი ფეხსაცმლისა, რომელსაც ზონარის ნაცვლად აქვს რეზინი, ქალის ახალი ფასონის ლაკის და ფეხსაცმლისა.

პროდუქციის გამოშვების გადიდებას ხელს უწყობს მასალების რაციონალურად გამოყენებისათვის ბრძოლა. ფაბრიკის საუკეთესო გამომჭრელებმა ი. ბახვალოვმა, ლ. ვასილიევამ, მ. ბოლდირევამ და სხვებმა წლის დამდეგიდან დაზოგეს ნახევარი მილიონამდე კვადრატული დეციმეტრი ტყავი. ამის მეოხებით დამატებით გამოშვებულ იქნა 16 ათასი წყვილი სამოდელო და სახპორტო ფეხსაცმელი.

ტანისამოსი შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის, შორეული ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთის მშრომელნი კარგად იცნობენ სამკერვალო ნაწარმს, რომელსაც ლენინგრადის ვოლოდარსკის სახელობის ფაბრიკის მარკა აქვს. მარტო წლის პირველ ნახევარში მკერავებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ორი ათასამდე პალტო, ათი ათასზე მეტი კოსტიუმი და შარვალი.

ტანისამოსის გამოშვების გადიდებას ხელს უწყობს უახლესი მოწყობილობის დანერგვა და წარმოების პროცესების კონვეიერიზაცია. შრომატევადი ოპერაციისათვის—ბამბის დალიანდაგებისათვის — მცირე წარმადობის უნივერსალური მანქანის ნაცვლად იყენებენ თორმეტნემსიან მექანიზმს. დადგმულია საყელოების დამლიანდაგებელი მანქანები.

წარმოების მექანიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ფაბრიკის რაციონალიზატორებს. მექანიკოსმა ე. პავლოვმა დასამაგრებელი მანქანა დადაკეთა კოსტიუმებზე ღილების დასაკერებლად. 70 წამში იგი აკერებს ექვს ღილს.

14 ივლისს ვოლოდარსკის სახელობის ფაბრიკამ კომის ავტონომიურ სს რესპუბლიკაში გაგზავნა მამაკაცისა და ბავშვის შემოდგომა-ზამთრის ასორტიმენტის ტანისამოსის 2,5 ათასზე მეტი სხვადასხვა საგანი.

14 ივლისი. (საკდესი).

ღღეს ქიგუღებში

ქალაქი ქიგულევსკი, (**კუიბიშევის ოლქი**), 14 ივლისი. (საკდესი). აგვისტოში სრულდება სამი წელი კუიბიშევის ჰესის მშენებლობის შესახებ მთავრობის დადგენილების გამოქვეყნების დღიდან. ამ ხნის განმავლობაში აქ დიდი ცვლილებები მოხდა.

მეთევზეთა პატარა სოფლის ოტვაჟნოეს ადგილას მთა მოგუტოვოს კალთებზე აშენდა ჰესის შენობის ქვაბული. აქ უკვე ამოღებულია 6 მილიონზე მეტი კუბური მეტრი მიწა. ქვაბული საამედოდ არის გადაღობილი ვოლგისაგან მალალი მიწაყრილებით. მიწისმთხრელი მანქანები მუშაობენ მოედნებზე, რომლებიც მდინარის დონეზე ბევრად უფრო დაბლა მდებარეობენ

ფართოვდება ბეტონის სამუშაოთა ფრონტი. რისბერმში — ბეტონის ფილაში, რომელსაც მომავალი ჰესის ტურბინებიდან გამოსული წყალი დაეცემა, უკვე ჩაყრილია ათასობით კუბმეტრი ბეტონი. ამ დღეებში ინჟინერ ზინუკოვის კოლექტივი დაამთავრებს ბეტონის ჩასხმას ამ უბნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბლოკში. აქვე მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა ბეტონსაზიდი ესტაკადის ასაგებად, რომლითაც ბეტონს გადაზიდავენ ჰესის აშენების დროს.

პასუხსაგებ სამუშაოს ასრულებენ მემონტაჟეები. მომდინარე წლის ოქტომბერში მწყობრში უნდა ჩადგეს ვოლგის საჰაერო გზა. ამ კიდული მაგისტრალის მარტო ფოლადის ბაგირები აიწონის ათას ტონაზე მეტს.

ათეულ ათასობით კუბურ მეტრ გრუნტს ღღეებენ და ჯეგირებსა და ზღუდარებში ყრიან მინწისმთხრელი მანქანები. კარგად მუშაობს აგრეგატი „507“, რომლის უფროსია კომკავშირელი ივანე კულინიჩი. ამას წინათ იგი შეუდგა არხის ქვედა რაბის სამშენებლო მოედნისაკენ მისასვლელის გაყვანას. გუშინ კულინიჩის მიწისმთხრელი მანქანა მიიდა იმ ადგილას, სადაც რაბი იქნება. ახალგაზრდათა ეკიპაჟი მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა. ამ დღეებში მიწისმთხრელი მანქანა სანგრევიდან დღეღამეში ნორმით გათვალისწინებული 6 ათასი ტონის ნაცვლად იღებს 13 ათას კუბურ მეტრ გრუნტს.

მსუბუქი ავტომობილი სოფლის რაიონეგისათვის



მოლოტოვის სახელობის გორკის საავტომობილო ქარხანა ივლისის ბოლო რიცხვებში დაიწყებს სოფლის რაიონებისათვის განკუთვნილი ახალი მსუბუქი ავტომობილის „გაზ-69-ის სერიულ გამოშვებას.

ახალი ავტომობილი მარტივი, მკვიდრი და საიმედოა. რბილი საჯდომი, ახახდელი ტემტი, გათბობა ძარაში, რითაც იგი უზრუნველყოფილია, ყოველგვარ პირობას ქმნის ამინდის სხვადასხვა პირობებში მგზავრობისა და შოფერის ნორმალური მუშაობისათვის.

სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ავტომობილი „გაზ-69“ გამოშვებული იქნება ორი ტიპის ძარათი. პირველი (ძირითადი) ტიპის ძარა მოწყობილია 8 მგზავრის გადასაყვანად. ძარაში შეიძლება მოვათავსოთ ნახევარი ტონა ტვირთი (ამ შემთხვევაში ავტომობილში, გარდა მძღოლისა, შეიძლება ჩაჯდეს ერთი მგზავრი). მეორე ტიპის ძარიანი ავტომობილი უფრო კომფორტაბელურია და განკუთვნილია მხოლოდ მგზავრების გადასაყვანად. ეს არის ხუთადგილიანი მანქანა ოთხი კარით, რომელსაც უკან აქვს ტვირთის სათავსო.

„გაზ-69“ მანქანის მაქსიმალური სიჩქარეა საათში 90 კილომეტრი. მას შეუძლია კეთილმოწყობილ გზებზე სიჩქარე განავითაროს საათში 40-45 კილომეტრამდე. კეთილმოწყობილ გზებზე ბენზინის ხარჯვა 100 კილომეტრზე 16 ლიტრს შეადგენს.

სურათზე: ხუთადგილიანი მსუბუქი ავტომობილი „გაზ-69“.

იზრდება და მშვენიერდება მაღაროელთა ქალაქი

კრივოი როგი, 14 ივლისი. (საკ-დესი). წლითიწლობით იზრდება და მშვენიერდება მაღაროელთა ქალაქი კრივოი როგი. საბჭოთა მთავრობა უხვად იძლევა სახსრებს მისი კეთილმოწყობისა და ახალი მშენებლობისათვის. წარსულ ხუთწლედში ამ მიზნით დაიხარჯა 380 მილიონი მანეთი, ხოლო მეხუთე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე — ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტი. ომისშემდგომ პერიოდში კრივოი როგში აშენებულია ათას ხუთასზე მეტი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საზოგადოებრივი შენობები. მაღაროელებმა აიშენეს ოთხი ათასი სახლი.

სახეს იცვლის ქალაქის ყოველი კუთხე. დაიწყო იანოვის სახელობის ქუჩის რეკონსტრუქცია. ასფალტს აგებენ ტროტუარებსა და საკალ ნაწილზე. ქუჩებს, რომლებიც აკრავს ილიჩის სახელობის, კაგანოვიჩის სახელობისა და კიროვის სახელობის მაღაროებს, შეემატათ საბავშვო ბაგის, საცხოვრებელი სახლების, საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ლამაზი შენობები. ხარაჩოებშია კიდევ ორასამდე ახალშენება — სკოლები, კლუბები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები. ქალაქის საცხოვრებელი ფონდი წლის ბოლოსათვის თითქმის 130 ათასი კვადრატული მეტრით გადიდდება.

მაღაროელებს აქვთ ადგილები, სადაც შეუძლიათ დაისვენონ მუშაობის შემდეგ. მათ ემსახურება 25 კულტურის სასახლე და კლუბი, 105 ბიბლიოთეკა, 14 სტადიონი და პარკი, თეატრი, ორი კინოთეატრი. მთელ რიგ მაღაროებს ღამის სანატორიუმები აქვთ.

საღამოობით ღია მოედნებზე უკრავენ ორკესტრები, გამოდიან თვითმოქმედი კოლექტივები.

მაღაროელთა ქალაქის მცხოვრებთ მუსიკა უყვართ. ბევრი მუშა სწავლობს ქალაქის მუსიკალური სკოლის ფილიალებში.

კრივოი როგში ბევრი სასწავლებელია: 66 სკოლა, სამთო, პედაგოგიური ინსტიტუტები და სამთო ტექნიკუმი.

კრივოიროგელ მაღაროელებს, მეტალურგებსა და მანქანათმშენებლებს ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობაში. ყოველ ნახევარ საათში ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხისაკენ მიდის მადნით და თუჯით, საშახტო მოწყობილობით და მანქანებით დატვირთული მატარებლები. ახალი ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში კრივოი როგის საწარმოებში მნიშვნელოვნად გადიდდა სამრეწველო პროდუქციის მატება. მარტო ძერჟინსკის სახელობის მაღაროში ახლა იღებენ იმდენ მადანს, რამდენსაც კრივოი როგის ყველა შახტში იღებდნენ რევოლუციამდელ წლებში.

მზა საღილების ფაბრიკა

ლენინგრადი, 15 ივლისი. (საკდესი). ლენინგრადის საკვები კონცენტრატების კომბინატს უწოდებენ „მზა საღილების ფაბრიკას“. აქ ერთსა და იმავე დროს მზადდება კვების ოთხმოცამდე სხვადასხვა ნაწარმი. აკურატულად შეფუთულს უშვებენ ბურღულისა და ბოსტნეულის წვენს, ფაფას, ხილის ფაფას, ყავას. ერთი დღის განმავლობაში კომბინატი ამზადებს 300 ათასზე მეტ სხვადასხვა ნოყიერ კერძს.

პროდუქციის გამოშვების ასეთი მოცულობა მიღწეულია წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მეოხებით. ხელის შრომას იყენებენ მხოლოდ არართულ ოპერაციებზე. უკანასკნელი სიახლე, რომელიც კომბინატის საამქროებში გაჩნდა, არის ხორბლისა და სიმინდის ფიფქების დასაფასოვებელი ავტომატი. დღის განმავლობაში იგი უშვებს 12 ათას კოლოფ ამ პროდუქტს.

წლის დამდეგიდან დამზადებულია ხუთნახევარი მილიონით მეტი სხვადასხვა კერძი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

ქარხნის ყოველი მეექვსე მუშაკი რაციონალიზატორია

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში თითქმის 900 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის ნოვატორებმა. ამ წინადადებათა დიდი ნაწილი უკვე რეალიზებულია. მათი მეოხებით ქარხანა ერთი წლის მანძილზე დაზოგავს 1.776 ათას მანეთს.

ერთ-ერთი აქტიური რაციონალიზატორია საწნეხი საამქროს უფროსი ოსტატი ა. ი. სკოტნიკოვი. სამი თვის განმავლობაში მან შეიტანა 7 წინადადება, რომლებიც ქარხანას საშუალებას მისცემენ წელიწადში დაზოგოს 70 ტონაზე მეტი ლითონი.

ამჟამად ყოველი მეექვსე ავტოქარხნელი რაციონალიზატორია. (საკდესი).

საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო

პარტიის თბილისის რაიონული კომიტეტების პლენუმები პარტიულ აქტივთან ერთად

ლენინის რაიონი

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის წევრები რაიონის აქტივთან ერთად 14 ივლისს შეიკრიბნენ იმისათვის, რომ განეხილათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები.

მომხსენებელი — რაიკომის მდივანი ამხ. გ. ცქიტიშვილი და კამათში გამოსული ამხანაგები, გამოხატავდნენ რა რაიონის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა აზრს, დიდი აღშფოთებითა და გულისწყრომით ლაპარაკობდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უსაზიზღრესი მტრის, საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტის ბერიას დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ, რომელიც ცდილობდა ძირი გამოეთხარა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისათვის.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ ხალხის მტერი ბერია გამოყვანილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან, გარიცხულია ჩვენი პარტიის რიგებიდან და საქმე მისი დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ განსახილველად გადაცემული აქვს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. ნინოშვილი, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სტახანოველი ხარატი ამხ. ზუბრიცკი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე ამხ. სახელაშვილი და სხვები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დროული და გადამწყვეტი ზომების მიღების შედეგად ლიკვიდირებულ იქნა საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. რაიონის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავიანთ ძალებს მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია რაიონის საწარმოთა მუშაობაში. მაგალითად, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა მარტო ივლისში სახელმწიფოს დააკლო ასეული ათასობით მანეთის პროდუქცია. ასევე ცუდად იმუშავა აგურ-ბეტონის კომბინატმა და რაიონის ზოგიერთმა სხვა საწარმომ. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ პარტიის ლენინის რაიკომი სუსტად ეხმარება ჩამორჩენილ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს, ხოლო თავის მხრივ ისინი სრულყოფილად ვერ იყენებენ საწარმოს ადმინისტრაციისადმი კონტროლის უფლებას.

სერიოზული ნაკლოვანებანი აღინიშნა აგრეთვე პროპაგანდისტულ და საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში. ბევრ პოლიტსკოლასა და წრეში მეცადინეობა დაბალ იდეურ დონეზე ეწყობოდა, რის გამო შემაჯამებელ მეცადინეობაზე მსმენელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სუსტი მომზადება გამოამჟღავნა.

ერთსულოვნად მიღებულ გადაწყვეტილებაში ლენინის რაიკომის პლენუმის მონაწილენი მთლიანად და სავსებით იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას და იღებენ მას განუხრელი ხელმძღვანელობისათვის. პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

პლენუმის მონაწილეებმა რაიონის კომუნისტთა სახელით პირობა მისცეს ცენტრალურ კომიტეტს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან დიადი კომუნისტური პარტიის გარშემო და რაიონის მშრომელებს დარაზმავენ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად.

მოლოტოვის რაიონი

შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პლენუმი აქტივთან ერთად. პლენუმმა მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დროზე მიღებული გადამწყვეტი ღონისძიებანი პარტიისა და საბჭოთა ხალხის მუხანათი მტრის ბერიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების ლიკვიდაციისათვის.

მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ამხ. ჟ. კაპანაძემ და მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის, ხალხის, საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში.

კამათში გამოსული ამხანაგები უდიდესი გულისწყრომით ლაპარაკობდნენ, რომ, მიაღწია რა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს, მოღალატე ბერია ცდილობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატი გამოეყენებინა იმისათვის, რათა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება, გაენადგურებინა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კოლექტიური ხელმძღვანელობა, მოესპო სოციალისტური წყობილება. ამ მიზნით მოღალატე ბერია შინაგან საქმეთა სამინისტროში აწინაურებდა მისდამი პირადად ერთგულ, პარტიისათვის უცხო, საეჭვო ადამიანებს. ავანტიურისტი და საერთაშორისო ჯაშუში ბერია სხვადასხვა ვერაგული ხერხებით ცდილობდა შუღლი და მტრობა ჩამოეგდო სსრ კავშირის ხალხებს შორის, გაეაქტიურებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები მოკავშირე რესპუბლიკებში.

— პარტიისა და საბჭოთა ხალხის ვერაგი მტერი, ავანტიურისტი ბერია, — თქვა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ხარატმა ამხ. შ. ომანიძემ, — საზღვარგარეთის კაპიტალის ინტერესებისათვის მოქმედებდა. ჩვენი ქარხნის კოლექტივის თვითეული წევრის მრისხანე აღშფოთება და ზიზღი გამოიწვია ნაძირალა ბერიას ბოროტმა ზრახვებმა, მისმა ანტიპარტიულმა და ანტისახელმწიფოებრივმა გამოხდომამ. კომუნისტებისა და უპარტიოების მიერ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების ერთსულოვანი მოწონება იმას მოწმობს, რომ პარტიისა და ხალხის ერთიანობა ურღვევია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი საბჭოთა ახალგაზრდობის უდიდეს ერთგულებაზე ილაპარაკა კომკავშირის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ილაშვილმა.

— მოღალატე ბერიას შაგბნელმა ზრახვებმა, — განაცხადა მან, — დიდად აღაშფოთა რაიონის კომკავშირელები და მთელი ახალგაზრდობა. დაე იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, ბოლომდე ერთგულია და ერთგული იქნება კომუნისტური პარტიის დიადი საქმისა.

პლენუმზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც თავიანთ მუშაობაში აქვთ რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან მასების აღზრდისათვის კომუნისტური სულისკვეთებით, ამ საქმეში უნარიანად ვერ იყენებენ პოლიტიკურ აგიტაციას, ძირეულ პრესას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. პლენუმზე აგრეთვე აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომი ჯერ კიდევ ღრმად ვერ სწვდება საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობას, რომ მათდამი პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონე დაბალია.

მოლოტოვის რაიკომის პლენუმმა რაიონის აქტივთან ერთად ერთსულოვნად და მთლიანად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება და იღებს მას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

კალინინის რაიონი

კომუნისტთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ჩატარდა პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პლენუმი აქტივთან ერთად, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების განხილვას.

მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება წაიკითხა რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ჩოფიკაშვილმა. პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა ბერიას დანაშაულებრივი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ.

მომხსენებელი და მოკამათეები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და ხალხისათვის. ისინი მადლიერების გრძნობით აღნიშნავდნენ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის უდიდეს გამჭრიახობას, რომელმაც ამხილა და უვნებელჰყო საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის, პარტიისა და ხალხის უბოროტესი მტრის ბერიას გამცემლური ზრახვები.

პასუხად ცენტრალური კომიტეტის მოწოდებისა — გამოვიტანოთ ბერიას საქმიდან პოლიტიკური დასკვნები — კალინინის რაიონის კომუნისტები კიდევ უფრო აძლიერებენ რევოლუციურ სიფხიზლეს, აამაღლებენ პარტიული და სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. კოჭლავაშვილმა მოიყვანა იმის მრავალი ფაქტი, თუ როგორ ირღვეოდა სამინისტროს აპარატში კადრების შერჩევის, აღზრდისა და დაწინაურების ლენინური პრინციპი, პატივისცემით არ სარგებლობდა კრიტიკა და თვითკრიტიკა. ბერიას დამქაშმა, ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, პარტიისა და ხალხის მტერმა დეკანოზოვმა მისი „მოღვაწეობის“ მცირე ხნის მანძილზე მოასწრო სამინისტროს აპარატში აღედგინა ბერიასადმი ერთგული, პარტიისათვის უცხო, საეჭვო ადამიანები.

— საქართველოში მომუშავე მხატვრები, — განაცხადა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ამხ. უ. ჯაფარიძემ, — ერთსულოვნად იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დროულ გადაწყვეტილებებს პარტიისა და საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრის ბერიას გამცემლური მოქმედების ლიკვიდაციის შესახებ. ქართველი მხატვრები, ყველა მშრომელთან ერთად, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან კომუნისტური პარტიის გარშემო და თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელების საქმეში.

რაიონის პედაგოგთა გულისწყრომა გამოხატა ქალთა მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. ა. ტიმოფეევამ, რომელმაც თქვა:

— ხალხის საზიზღარ მტერს ბერიას უნდოდა ძირი გამოეთხარა საბჭოთა ხალხის დიად მეგობრობისათვის, მაგრამ მისი ბნელი ზრახვები ჩაიშალა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა პრეზიდიუმმა თავის დროზე ამხილა და ძირშივე აღკვეთა მოღალატე ბერიას ვერაგული საქმიანობა. ჩვენ, რაიონის პედაგოგები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მოსწავლე თაობა აღვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, მტრისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

პლენუმის მონაწილენი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ყველა უბანზე ვიყოთ ფხიზელნი, გავაუმჯობესოთ მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლება, უზრუნველვყოთ პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების ურყევად გატარება, მტკიცედ დავიცვათ პარტიის წესდების მოთხოვნები. პარტიული ორგანიზაციების ვალია განამტკიცონ მასებთან კავშირი, ყური დაუგდონ მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს, ყოველდღიურად იზრუნონ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

პლენუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას და სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ გადაწყვეტილებით დასმული ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად.

მშრომელთა ხალხმრავალ კრებებზე

მოღალატე სასჯელად უნდა დაისაჯოს

ღამის თორმეტის ნახევარზე შეწყვიტეს მუშაობა დაზგებმა. მეორე და მესამე ცვლების ფეიქრები მოსამზადებელ საამქროში შეიკრიბნენ. გაიმართა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებების გაცნობას.

კრებაზე ინფორმაცია გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. გეგეშიძემ.

ქსოვის ინსტრუქტორმა ოლია გოგუაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა: პარტიისა და საბჭოთა ხალხის ვერაგმა მტერმა ბერიამ, რომელიც უცხოეთის დაზვერვას მიეყიდა, უღალატა სოციალისტურ სამშობლოს. მან მკაცრი პასუხი უნდა აგოს ქვეყნისა და პარტიის წინაშე. საბჭოთა მართლმსაჯულებამ კანონის მთელი სისასტიკით უნდა დასაჯოს ხალხის ეს გარეწარი და ორგული დუშმანი.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ოთხდაზგოსანმა მქსოველმა ნინო მელიქიძემ, მქსელავმა ნინო ბარათაშვილმა, ოსტატის თანაშემწემ ე. კავთიევმა და სხვებმა.

საბჭოთა სახელმწიფოს უბოროტესი მტრის ბერიას მოქმედების მკაცრ გაკიცხვასთან ერთად ფეიქრები პირობას აძლევდნენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომ დაუღალავად იშრომებენ, რათა გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო დავალებები, ვადამდე განახორციელონ ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრების მონაწილეებმა მხურვალედ მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებანი.

ფეიქრებმა აღუთქვეს პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მათ გარშემო, გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას, გააძლიერებენ რევოლუციურ სიფხიზლეს, განამტკიცებენ სახელმწიფო და შრომის დისციპლინას.

ვიშრომებთ გასამკეცებული ენერგიით

ჭიათურა. 14 ივლისი. (საქდესი). ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ყველა ძაღაროთ-სამმართველოსა და ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში ძოწყო ხალხმრავალი კრებები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების გაცნობას. ძძრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებანი საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის ვერაგი მტრის ბერიას პარტიის რიგებიდან გარიცხვისა და სამართალში მიცემის შესახებ.

ყველა მუშისა და მოსამსახურის აზრი გამოხატა თავის სიტყვაში დიმიტროვის სახელობის მაღაროს სტახანოველმა მნგრეველმა ტ. ჭიღლაძემ.

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, — თქვა მან, — ჭიათურელი მაღაროელნი უდიდესი ზიზღითა და აღშფოთებით გმობენ ბერიას ვერაგულ მოქმედებას, რომელმაც უღალატა სამშობლოს, საბჭოთა ხალხს და იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტი გახდა. მტერი უძლურია დაარღვიოს ჩვენი პარტიის, მთავრობისა და ხალხის ერთიანობა. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ჩვენი რევოლუციური სიფხიზლე. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ვამრავლებთ ჩვენს წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ჭიათურელი მაღაროელები, გამოთქვამენ რა თავიანთ ღრმეს კმაყოფილებას იმ ღონისძიებათა გამო, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ბერიას მტრული მოქმედების ლიკვიდაციისათვის, მოითხოვენ პარტიისა და ხალხის მტრის მკაცრ დასჯას.

კრებებზე ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუციები, რომლებშიც მშრომელები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებს და პირობას აძლევენ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ რევოლუციურ სიფხიზლეს და გასამკეცებული ენერგიით იშრომებენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მგზერს აარ დავინდობთ

ჩვენი მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ერთგულების, ლენინ — სტალინის დიადი საქმისათვის თავდადების ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება.

ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ო. კაშიამ, ხარატებმა — ვ. პავლოვმა, ი. ჩერკაშინმა, ზეინკლებმა — თ. მაიოროვამ, დ. მიხაილოვმა, ინჟინერმა მ. კობერიძემ, საწოლების საამქროს უფროსმა ოსტატმა ა. კაზაკოვმა, სალურსმნე საამქროს უფროსმა გ. რაზმაძემ თავიანთ სიტყვებში ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებანი, სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ხალხის უბოროტესი მტერი ბერია, რომელიც მზაკვრული ხერხებით ცდილობდა ძირი გამოეთხარა ჩვენი მშობლიური საბჭოთა სახელმწიფოსათვის. მათი სიტყვები გამსჭვალული იყო უსაზღვრო ერთგულებით ჩვენი მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

გამოთქვა რა ქარხნის კოლექტივის თვითეული წევრის გრძნობები, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ო. კაშიამ განაცხადა:

— მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენი მშვიდობისმოყვარე ხალხის კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ყოველი ჩვენი წარმატება აბოროტებს მტრებს. ისინი ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომას. სამშობლოს მოღალატე, საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტი ბერია ცდილობდა ძირი გამოეთხარა ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისათვის, შუღლი დაეთესა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის. მაგრამ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე ამხილა ეს საზიზღარი მოღალატე, ვერაგი შენიღბული მტერი.

დაე იცოდნენ მტრებმა და მათმა თანამზრახველებმა, — განაგრძობს ორატორი, — რომ ვერც ერთი ძათგანი ვერ მოახერხებს თავი დააღწიოს სასტიკ სასჯელს. ჩვენი ხალხი ძირფესვიანად ამოგლეჯს გველის ნესტარს ჩვენი ქვეყნის საზიზღარ მოღალატეებს. საბჭოთა ხალხის მტრების ყველა ხრიკის პასუხად ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებს და პირობას აძლევენ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომ კიდევ უფრო განამტკიცებენ თავიანთ რიგებს, აამაღლებენ რევოლუციურ სიფხიზლეს და გააძლიერებენ მუშაობას ჩვენი პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

მაღაროელთა გულისწყრომა

ტყვარჩელის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი აღშფოთებით გმობენ ბურჟუაზიული გადაგვარებულის, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას ანტიპარტიულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას, სავსებით იწონებენ ღონისძიებებს, რომლებიც განახორციელეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რომელთა შედეგად ხალხის საზიზღარი მტერი მხილებულია.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 5 შახტის მაღაროელთა ხალხმრავალ კრებაზე პირველმა ილაპარაკა ამფეთქებელმა ვ. შველიძემ.

— გარეწარი და მოღალატე ბერია, — ამბობს იგი, — ცდილობდა ხელი შეეშალა კომუნისტური მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილ საბჭოთა ადამიანებს ლენინური გზიდან ვერავინ გადაახვევინებს. ჩვენ, მაღაროელები, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად, მხურვალედ ვიწონებთ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებს, ვალდებულებას ვკისრულობთ კიდევ უფრო გავაძლიეროთ სიფხიზლე, ვამრავლოთ შრომითი წარმატებანი.

ელექტროსადგურის მორიგე ინჟინერმა შ. რუხაძემ თქვა:

— ძირი გამოეთხარა პარტიის ერთიანობისათვის, შუღლი ჩამოეგდო ხალხთა შორის — ასეთი იყო ხალხის მტრის ბერიას საზიზღარი მისწრაფება. მაგრამ დაე იცოდნენ მტრებმა და მათმა საზიზღარმა აგენტებმა, რომ საბჭოთა ხალხი აღგვის თავის გზაზე ყველას, ვინც შეეცდება ხელყოს მისი დიადი მონაპოვარი.

კალატოზთა ბრიგადირმა ა. ტომილოვმა მშენებელთა მთელი კოლექტივის გრძნობა და ფიქრი გამოთქვა.

— ჩვენ, — აღნიშნა მან, — ვგმობთ პროფკავშირის ყოფილ ბერიას საზიზღარ მოქმედებას. უცხოეთის იმპერიალიზმის და მისი დაქირავებული აგენტების ხრიკების პასუხად საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო. (საქდესი).

კომბაინერთა სიტყვა

ყვარელი. („კომუნისტის“ კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებში მომუშავე მექანიზატორები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას პარტიისა და ხალხის მტრის ბერიას პარტიიდან გარიცხვისა და სამართალში მიცემის შესახებ.

კომბაინერმა ნ. კურდღელაშვილმა, რომელიც დღეში 20-25 ჰექტარზე მკის პურეულს, მინდვრად გამართულ კრებაზე განაცხადა:

— ჩვენ ზიზღს გამოვთქვამთ ბერიასადმი. იგი — იმპერიალიზმის აგენტი — უუღლესა და მტრობას თესავდა საბჭოთა ხალხებს შორის, ძირს უთხრიდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შექმნილ უძვირფასეს საკოლმეურნეო წყობილებას. დაე იცოდნენ საძულველმა იმპერიალისტებმა და მათმა დაქირავებულმა აგენტებმა, რომ ყველა, ვინც ხელს აღმართავს ჩვენი ბედნიერი სამშობლოს წინააღმდეგ, გასრესილ იქნება ხალხის მიერ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების პასუხად პირობას ვიძლევი, რომ მოსავლის აღების გეგმას ორასი პროცენტით შევასრულებ, დანაკარგებს მინიმუმამდე შევამცირებ.

ენისლის ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში აგრეგატის მომსახურეთა კრებაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებს მიეძღვნა, კომბაინერმა გიგილოშვილმა თქვა:

— ბერიას დანაშაულობანი მხილებულია. პარტიისა და ხალხის მტერს ნიღაბი ჩამოგლეჯეს. ჩვენ, მექანიზატორები, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად მოვითხოვთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ ბერია კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯოს. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. მთელს ჩვენს ძალღონეს მოვახმართ კომუნიზმის მშენებლობას.

ბერიასადმი ზიზღისა და მრისხანების გამომხატველი იყო მექანიზატორების ნ. მეტრეველის, ვ. დაქიურიძისა და სხვების სიტყვები. მათ ვალდებულება იკისრეს ვადაზე ადრე და მაღალი ხარისხით აიღონ პურის უხვი მოსავალი, კიდევ უფრო გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე.

კრებების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებს, რომლებითაც მხილებულია პარტიისა და ხალხის უბოროტესი მტერი, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი ბერია.

ჩვენი კალენდარი

დიდი რუსი მსახიობი

მ. ნ. ერმოლოვას დაბადების 100 წელი

დღეს სრულდება ასი წელი რუსული თეატრის დიდებისა და სიამაყის, გამოჩენილი მსახიობის მარიამ ნიკოლოზის ასულ ერმოლოვას დაბადებიდან.

მ. ნ. ერმოლოვა დაიბადა და აღიზარდა მოსკოვში, თეატრალურ ოჯახში. მამა ნიკოლოზ ერმოლოვი სუფლიორად მსახურობდა მოსკოვის მცირე თეატრში. მ. ნ. ერმოლოვას ახლო ნათესავნი მსახიობები იყვნენ. მას ბავშვობიდანვე უყვარდა თეატრი. სამი წლისა სცენაზე გამოიყვანეს, ხოლო ხუთი წლისას უკვე პატარა სიტყვიერი როლი ჰქონდა.

1862 წელს მ. ნ. ერმოლოვა მიაბარეს თეატრალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მსახიობად ჩაირიცხა მოსკოვის მცირე თეატრის დასში. ამაზე ადრე მას უკვე იცნობდა მოსკოვის მაყურებელი მცირე თეატრშივე ნათამაშევი რამდენიმე როლით და უკვე შესანიშნავი ახალგაზრდა მსახიობის სახელი ჰქონდა მოპოვებული.

მ. ნ. ერმოლოვა აღიზარდა დიდი რუსი მწერლების ვ. ბელინსკისა და ნ. დობროლიუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე. ამიტომაც ნიჭიერი მსახიობი თავიდანვე განიცდიდა სასცენო შემოქმედებაში დემოკრატიული იდეების გავლენას.

ჯერ კიდევ სასცენო მოღვაწეობის დასაწყისში მ. ნ. ერმოლოვა ამბობდა: „მე მსურს ღარიბი ადამიანი თეატრიდან იმ აზრით წავიდეს, რომ არსებობს სხვა, უკეთესი ცხოვრება, ანდა, უთანაგრძნობს რა მსახიობი ქალის ტანჯვას — დაივიწყოს თავისი ტანჯვა, თავისი მწუხარება“.

მ. ნ. ერმოლოვას საყვარელი მწერალი იყო დიდი რუსი პოეტი-დემოკრატი ნ. ნეკრასოვი; მის ლექსებს დიდი გატაცებით კითხულობდა სალიტერატურო საღამოებზე.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მოღვაწეობდა მ. ნ. ერმოლოვა მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე.

ეს თეატრი, როგორც სახაზინო თეატრი, მეფის მოხელეთა ხელში იყო. ისინი ცდილობდნენ ცარიზმისათვის სასურველი სახე მიეცათ თეატრის რეპერტუარისა და მსახიობთა შემოქმედებისათვის, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ. მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობთა შორის მუდამ იგრძნობოდა პროგრესულ-დემოკრატიული სულისკვეთება, დაცული იყო დიდი რუსი მსახიობების მ. შჩეპკინისა და პ. მოჩალოვის მებრძოლი სასცენო შემოქმედების ტრადიციები. მთელი საუკუნის მანძილზე, სხვადასხვა დროს, მოსკოვის თეატრის შესანიშნავი მსახიობები — ნ. მედვედევი, გ. ფედოტოვი, ა. იაბლოჩკინა, ა. ლენსკი, ა. იუჟინი (სუმბათაშვილი), ო. პრავდინი, კ. რიბაკოვი, პ. სადოვსკი და მრავალი სხვა მუდამ ცდილობდნენ თავიანთი სასცენო შემოქმედება დაეკავშირებინათ თავისი დროის პროგრესულ იდეებთან, იბრძოდნენ მოწინავე რეპერტუარისათვის, რუსული ეროვნული დრამატურგიის განვითარებისათვის, სცენიური რეალიზმის განმტკიცებისათვის.

მ. ნ. ერმოლოვა მოწინავეთაგანი იყო იმ დიდ შემოქმედთა შორის, რომლებიც თავიანთი სასცენო ოსტატობით ხელს უწყობდნენ რუსი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ და მთელ მსოფლიოში მოწინავე თეატრის სახელი მოუხვეჭეს რუსულ თეატრალურ კულტურას.

თავისი ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის პერიოდში მ. ნ. ერმოლოვამ შექმნა მრავალი სცენიური სახე, რომელთა უდიდესი ნაწილი შევიდა რუსული თეატრის ისტორიაში როგორც სამაგალითო, შესანიშნავი ნიმუში სასცენო ოსტატობისა, როგორც რუსული ეროვნული თეატრის მდიდარი შესაძლებლობის ნათელი და ბრწყინვალე გამოსახვა.

განსაკუთრებული ოსტატობით თამაშობდა იგი რუსულ დრამატულ ნაწარმოებებში. მას 24 როლი ჰქონდა შესრულებული მარტო დიდი რუსი მწერლის ა. ოსტროვსკის პიესებში და ყოველი როლი მხატვრულ შედევრს წარმოადგენდა. დიდი ნიჭიერებით გამოსახავდა მ. ნ. ერმოლოვა რუსი მებრძოლი ქალების როლებს; მისი თამაში ამ როლებში იმდენად დამახასიათებელი გახდა, რომ „ერმოლოვას ქალი“ მებრძოლი ქალის მხატვრულ სიმბოლოდ იქცა რევოლუციამდელ რუსეთში.

სცენის დიდი ოსტატი მ. ნ. ერმოლოვა ყოველ სცენიურ სახეს განსხვავებული თავისებურებით უჩვენებდა, რაც შედეგი იყო მსახიობის ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისა სახის გამოსაკვეთად, მისი შინაგანი ბუნების გასახსნელად.

თავისი შეუდარებელი ნიჭიერი სცენიური შემოქმედებით მ. ნ. ერმოლოვა ეოვიძებდა მაყურებელს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის სურვილს. ამ შემთხვევაში საკმარისია გავიხსენოთ 1876 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, მ. ნ. ერმოლოვას მიერ შესრულებული ლაურენსიას როლი ჩვენში კარგად ცნობილ ლოპე დე-ვეგას „ცხვრის წყარო“. მ. ნ. ერმოლოვას ლაურენსია, ისეთი ამაღელვებელი გმირული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, რომ სპექტაკლის შემდეგ მაყურებლები რევოლუციური სიმღერებით მოედნენ მოსკოვის ქუჩებს. პოლიციამ მყისვე აკრძალა ეს პიესა და მ. ნ. ერმოლოვას შემდეგ ალარ ღირსებია ლაურენსიას როლის შესრულება.

ცნობილია, თუ რა პოპულარობით სარგებლობდა რევოლუციამდელ რუსულ სცენაზე 1903 წლიდან ა. სუმბათაშვილ-იუჟინის დრამა „ყალატი“. ამ პოპულარობის შემქმნელი იყო მ. ნ. ერმოლოვა მოსკოვის მცირე თეატრის სხვა შესანიშნავ მსახიობებთან ერთად. იგი ასრულებდა ზეინაბის როლს და დიდი მხატვრული სიმართლით და დამაჯერებლობით გამოხატავდა ქართველი ქალის ბუნებას.

მ. ნ. ერმოლოვა საქართველოსაც ესტუმრა და თბილისის მაყურებელს უჩვენა თავისი სასცენო ოსტატობა. 1891 წლის მაისში ჩამოვიდა თბილისში და მონაწილეობა მიიღო თბილისის რუსული თეატრის 11 წარმოდგენაში, რომელთა შორის იყო ა. ოსტროვსკის „ქუხილი“, „ნიჭიერებანი და თაყვანისმცემელნი“ და „ვასილისა მელენტიევა“, ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი“ და „ორლეანელი ქალი“, ლოპე დე-ვეგას „სევილიის ვარსკვლავი“ და სხვ. მ. ნ. ერმოლოვამ აღტაცებაში მოიყვანა თბილისის მაყურებელი თავისი შესანიშნავი სასცენო ოსტატობით, განსაკუთრებით კატერინას როლით ა. ოსტროვსკის „ქუხილში“. თბილისის გაზეთი „კავკაზი“ რეცენზიაში აღნიშნავდა: „ასეთი ტრაგიკული სიძლიერით და რეალობით შესრულება არას დროს არ უნახავს თბილისის მაყურებელს და, გვგონია, ვერც ნახავსო“. ბენეფისის შემდეგ აღტაცებულმა მაყურებლებმა მ. ნ. ერმოლოვა სასტუმრომდე მუსიკით და მაშხალებით მიაცილეს.

მ. ნ. ერმოლოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგაც განაგრძობდა სასცენო მოღვაწეობას. 1920 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა. მას დიდი ზეიმით გადაუხადეს 50 წლის იუბილე და საბჭოთა ქვეყანაში პირველს მიენიჭა სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

მ. ნ. ერმოლოვა გარდაიცვალა 1928 წლის 12 მარტს. მისი შემოქმედება დარჩა თეატრის ისტორიაში, როგორც რუსული ეროვნული თეატრალური კულტურის ბრწყინვალე ფურცელი.

გ. ბუხნიკაშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

კოლმეურნე ნოვატორი

საკოლმეურნეო წყობილებამ უსაზღვრო შესაძლებლობანი შექმნა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. სოფელ დიმის (მაიაკოვსკის რაიონი) კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა დავით ჭრელაშვილმა სახელი ეაითქვა, როგორც ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატმა, გასულ წელს მან 3,60 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 113 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. წელს უხვი მოსავლის მისაღებად იგი ჩაება მევენახეთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა ჰექტარზე 140 ცენტნერი ყურძნის მოყვანა.

ჭრელაშვილი ნოვატორიც არის. მას შემუშავებული აქვს ბორდოს სითხის შესასხურებელი აპარატისათვის ბრანდსპოიტი ოთხი ბუნიკით, რომელიც აქამდე არსებულისაგან იმით განსხვავდება, რომ სასხურებელ მილს დამატებული აქვს ოთხი თითი ბუნიკებით. ეს კი 8-10-ჯერ ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

თუ ჩვეულებრივი აპარატით 15 ლიტრი შაბიამნის ხსნარის შესასხურებლად საჭირო იყო 15 წუთი, ახალი, გაუმჯობესებული აპარატით, 4 ბუნიკის დამატების შედეგად, საჭიროა მხოლოდ ერთნახევარი წუთი.

თუ ჩვეულებრივი აპარატით ერთ კაცს შეეძლო შეეწამლა ვენახის 2.000 კვადრატული მეტრი ფართობი, ამ აპარატით შეწამლავს 20.000 მეტრზე მეტს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის საქარის საცდელმა სადგურმა მოიწვია ღ. ჭრელაშვილი საცდელ ნაკვეთში სანიმუშო შეწამლის ჩასატარებლად.

გაუმჯობესებული აპარატის გამოცდამ კარგი შედეგი მოგვცა. იგი იძლევა არა მარტო დროის დიდ ეკონომიას, არამედ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შეწამლის ხარისხსაც.

კოლმეურნე ჭრელაშვილი საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკთა დახმარებით კვლავ აგრძელებს მუშაობას სასხურებელი აპარატის გაუმჯობესებისათვის.

ლ. ლოლაძე,
ზესტაფონის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ რედაქტორი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩაის კულტურა დიდი ხანია ცნობილია ჩინელი ხალხისათვის. ჩინური ჩაი მთელ მსოფლიოშია განთქმული. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციების ფართობები დიდდება. ჩინეთის აღმოსავლეთ რაიონებში ახლა ჩაის ფოთლის კრეფა მიმდინარეობს.

სურათზე: პლანტაცია ქალაქ ხანჯოუს ახლოს (ჯეძიანის პროვინცია).

სინხუას სააგენტოს ფოტო.

ფოტოგამოფენა „მარქსიზმის გამარჯვება ჩინეთში“

შანხაი. (საკადესი). შანხაის ათასობით მშრომელი ყოველდღე ნახულობს ფოტოგამოფენას „მარქსიზმის გამარჯვება ჩინეთში“, რომელიც შანხაის კულტურის სასახლეში გაიხსნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის 32-ე წლისთავის აღსანიშნავად.

გამოფენა მოგვითხრობს მარქსიზმის შეღწევაზე ჩინეთში და პირველ ჩინელ მარქსისტებზე. გამოფენის ექსპონატებს შორის არის ჩინეთში დაწერილი და გამოცემული ადრინდელი მარქსისტული სტატიები და ბროშურები.

პოლონელ მაღაროელთა შრომითი წარმატებანი

ვარშავა, 14 ივლისი. (საკადესი). პოლონელი მაღაროელები 22 ივლისს — პოლონეთის განთავისუფლების დღეს ახალი საწარმოო მიღწევებით ხვდებიან. წინასადღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობს ქვანახშირის მრეწველობის 80 ათასი მუშა.

„ბოუე დარისუ“ შახტის მაღაროელებმა იკისრეს დღესასწაულისათვის გეგმის გადამეტებით მისცენ ქვეყანას 27.700 ტონა ქვანახშირი. ამ შახტის კოლექტივმა უკვე უპატაჟა ვალდებულების შესრულებისა და ომის შესახებ, რომ გადაწყვიტა დამატებით ამოიღოს ათასი ტონა ქვანახშირი.

„ვალენჩი ვაველის“ შახტში ივლისის პირველი დეკადის საწარმოო გეგმა შესრულებულია 104,6 პროცენტით. წინასადღესასწაულო შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს „ჩერვონა გვარდიას“, „გოტვალდის“, „სემიანოვიჩეს“ და სხვა შახტების კოლექტივებმა.

ვროცლავიდან იუწყებიან, რომ წარმატებით მიმდინარეობს ექვსწლიანი გეგმის ერთ-ერთი ობიექტის — სპილენძის მაღარო „კონრადის“ მშენებლობა.

ზეიმი ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 13 ივლისი. (საკადესი). ულან-ბატორში დამთავრდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 32-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ტრადიციული ზეიმი, რომელმაც სამ დღეს გასტანა. მონღოლეთის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ათეულ ათასობით ადამიანი იყო ამ დღეებში ნადომის მოედანზე. აქ გაიხსნა გამოფენები, რომლებიც ასახავდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმატებებს მეცხოველეობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებაში, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ცალკეული პავილიონი მიძღვნილი ჰქონდა სახჭოთა კავშირის ხალხთა მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობაში.

დღესასწაულის დროს მოეწყო სასპორტო შეჯიბრებები.

ზეიმის დახურვის გამო ნადომის მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

მოძრავი კინო კორეაში

ფხენიანი. (საკადესი). მოძრავი კინო დიდად პოპულარულია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობაში. მოძრავი კინო მიაქვთ ყველაზე შორეულ სოფლებში, იგი მომსახურებას უწევს ყანაში მომუშავე გლეხებს. იგ კინოფილმებში, რომლებსაც სოფლის მოსახლეობას უჩვენებენ, არის კორეის, ჩინეთის, აგრეთვე საბჭოთა ფილმები. საბჭოთა ფილმებიდან სოფლის მოსახლეობას უჩვენებენ: „ყუბანელი კაზაკები“, „გაზაფხული საკენში“, „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“, აგრეთვე მთელი რიგი სხვა კინოსურათები. კორეელ გლეხებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს საბჭოთა კოლმეურნეობებისადმი მიძღვნილი საბჭოთა კინოფილმები.

რესპუბლიკის კინოფიკაციის მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უკეთ მოემსახურონ სოფლის მოსახლეობას.

პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საკადესი). როგორც სან-ხუანიდან იუწყებიან, გაზეთმა „ელ პუებლომ“ გამოაქვეყნა პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტიის განცხადება, რომელიც ანალიზს უკეთებს კუნძულ პუერტო-რიკოს პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. ეს განცხადება საფუძვლად დაედება კამათს კომპარტიის მე-4 ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც აგვისტოში გაიმართება.

განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენი ქვეყანა, რომელიც სამხედრო ეკონომიკას დაუქვემდებარეს, კრიზისის პირას იმყოფება. ეს მდგომარეობა ხელსაყრელია მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ფენებისათვის. 1941 წელს პუერტო-რიკოს კომერციულმა საწარმოებმა მიიღეს 93 მილიონი დოლარი მოგება. მათი წლიური მოგება 1946-1949 წლების პერიოდში საშუალოდ 2,5-ჯერ მეტი — დაახლოებით 235 მილიონი დოლარი იყო.

ეს ციფრები ცხადყოფენ, თუ რაოდენ ხელსაყრელია ჩვენი მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობისათვის — საწარმოთა კაპიტალისტი მფლობელებისათვის — არსებული ეკონომიური მდგომარეობა...

ოფიციალური მონაცემების თანახმადაც კი, ყოველი 100 მუშიდან 12 მუდმივი უმუშევარია და არავითარ შემოსავალს არ იღებს.

ყოველი 100 კაციდან 77 ცხოვრობს კვირაში 20 დოლარზე ნაკლები შემოსავლით. მომუშავეთა საშუალო ხელფასი 1953 წლის მარტში 13 დოლარზე ნაკლები იყო კვირაში, ხოლო მომუშავე ქალთა საშუალო ხელფასი მხოლოდ 8 დოლარი კვირაში. სამკერვალო წარმოებაში მომუშავე ქალთა უმრავლესობა შინ იღებს სამუშაოს. მათი შემოსავალი კვირაში მხოლოდ 3,5 დოლარს შეადგენს“.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია: „ეს უმნიშვნელო ხელფასი რეალურად კიდევ უფრო მცირდება, თუ გავითვალისწინებთ ცხოვრების და განსაკუთრებით კვების პროდუქტების დიდ სიძვირეს.

კვების პროდუქტების ღირებულების ზრდა, რაც დამახასიათებელია პუერტო-რიკოსათვის, ხელსაყრელია მონოპოლისტებისა და მსხვილ კომერსანტ-იმპორტიორებისათვის და გარდუვალად აუარესებს ხალხის კვებას. ამიტომ ეკონომიკის კოლონიური ხასიათი და მშრომელთა გაღატაკება დღითიდღე მწვავდება...

ამერიკის იმპერიალიზმის ბუნებას ცხადყოფს აგრეთვე 3.500-მდე პუერტორიკოელი ჭაბუკის დაღუპვა, რომლებიც მოკლულ იქნენ და დაიჭრნენ დანაშაულებრივ ომში გმირი კორეელი ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენი ქვეყნის შეგნებული ადამიანების, განსაკუთრებით მუშათა კლასის პირველი და ყველაზე მთავარი ამოცანა ის არის, რომ მოაწყონ და სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“.

განცხადებას ხელი მოაწერეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა სესარ ანდრეუ იგლესიასმა და პარტიის თავმჯდომარემ ხუან სანტოს რივერამ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბეჭდვითი სიტყვის სამსახურის ცნობა

ბერლინი, 13 ივლისი. (საკადესი). ადნ-ის სააგენტო იუწყება:

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბეჭდვითი სიტყვის სამსახურმა გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

დასავლეთის ცრუ რადიოსადგურები ამ უკანასკნელ დღეებში ამტკიცებენ, რომ გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ მისცა მითითება ოდერ-ნოისეს საზღვარს ამერიდან აღარ ეწოდებოდეს მშვიდობის საზღვარი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბეჭდვითი სიტყვის სამსახურს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა თავიდან ბოლომდე მოჭორილია.

ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელისათვის და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთათვის ოდერ-ნოისეს საზღვარი გერმანიასა და პოლონეთს შორის მშვიდობის საზღვარია. ყოველ კეთილგონიერ გერმანელს ესმის, რომ რევანშიზმის პროპაგანდა, რომელსაც აწარმოებენ ამერიკელი აგრესორები და მათ სამსახურში მყოფი გერმანელი ფაშისტი პროვოკატორები და რომელიც ძლიერდება მათი 17 ივნისის ავანტიურის ჩაფუშვის შემდეგ, მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ ომის მომზადებას.

მაგრამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია კრძალავს ომის ყოველგვარ პროპაგანდას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარე მოსახლეობა ვერ დაუშვებს, რომ მშვიდობის მტრები ავრცელებდნენ წამქეზებელ პროპაგანდას ოდერ-ნოისეს მშვიდობის საზღვრის წინააღმდეგ.

ფილმ „დიდი მოქალაქის“ წარმადგება შანხაიში

შანხაი, 14 ივლისი. (საკადესი). შანხაიში განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა ჩინურ ენაზე დუბლირებულ კინოფილმ „დიდი მოქალაქის“ ჩვენებას. ამ ფილმის ჩვენების დღეს არც ერთ კინოთეატრში არ შეიძლებოდა ბილეთის შოვნა, რადგან ისინი წინასწარ შეისყიდეს ფაბრიკა-ქარხნების პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და კოლექტივებმა. მარტო ქალაქის ცენტრალური რაიონის კინოთეატრებში ორი კვირის განმავლობაში ფილმი ნახა 300 ათასზე მეტმა შანხაელმა მშრომელმა. გაზეთებმა ფილმს უძღვნეს ბევრი სტატია და რეცენზია. მათში აღნიშნულია ამ ფილმის მაღალი მხატვრული ხარისხი და ნათქვამია, რომ იგი ასწავლის მაყურებელს სიფხიზლეს და ხალხისათვის უანგარო სამსახურს.

საერთაშორისო თემაზე

რა უშლის ხელს კორეაში მშვიდობის დამყარებას?

კორეელი ხალხის სამართლიანი ომი უცხოელ ინტერვენტებისა და ლისინმანელი ბანდიტების წინააღმდეგ მეოთხე წელია გრძელდება.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, დაინტერესებული იყო და არის კორეაში აგრესიული ომის შეწყვეტით, კორეის საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრით.

1951 წლის 23 ივნისს ნიუ-იორკში რადიოთი სიტყვა წარმოთქვა ამხ. ი. მალიკმა. ეს სიტყვა ომის საფუძველი გახდა, რომ დაწყებულიყო მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ. ხანგრძლივ და მოვლენებით მდიდარ მოლაპარაკებას, რომელიც ჯერ კესლინში, ხოლო შემდეგ პანმინჯონში მიმდინარეობდა, მოჰყვა შეთანხმება თითქმის ყველა საკითხზე, გადაუჭრელი დარჩა მხოლოდ ერთი — სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხი.

გასული წლის ოქტომბერში ამერიკელ მონოპოლისტთა ზეგავლენით, რომლებსაც მშვიდობის ეშინიათ, გენერალმა კლარკმა შეწყვიტა საზავო მოლაპარაკება. ამან ომედი გაუცრუა პროგრესულ კაცობრიობას. უკმაყოფილო დარჩა თვით ამერიკელი ხალხიც.

ამერიკელი ხალხის აღშფოთებამ აიძულა გენერალი კლარკი წამოეყენებინა წინადადება ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ. ამ წინადადებამ აქტიური მხარდაჭერა ჰპოვა.

30 მარტს გამოქვეყნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადება. თავისი ქვეყნის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწონებით ჯოუ ენ-ლაი მოუწოდებდა უთანხმოებანი ერთმანეთს საფუძველზე განეხილა ინებინათ არა მარტო ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლა, არამედ მოეგვარებინათ მთლიანად სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხიც, რასაც უნდა მოჰყოლოდა შეთანხმება დაზავების შესახებ და კორეაში ომის შეწყვეტა.

საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების ამ წინადადებას და კვლავ დააყენა საკითხი კორეაში მშვიდობის დამყარების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთისა და კორეის კანონიერი წარმომადგენლების შეყვანის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იძულებული გახდა მიეღო საერთაშორისო დამაბეჭდილების შენელების მიზნით კორეის საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრის წინადადება, და კვლავ განახლდა მოლაპარაკება. 8 ივნისს პანმინჯონში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ.

შეთანხმება ითვალისწინებს ნეიტრალური ქვეყნების — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიისა და ინდოეთის წარმომადგენლებისაგან შექმნას სარეპატრიაციო კომისია. ეს კომისია მეურვეობას გაუწევს და დაეხმარება იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებსაც არ უსურვებლიათ რეპატრიაციის თავიანთი უფლებით.

შეთანხმებამ აღფრთოვანა პროგრესული კაცობრიობა. მსოფლიო საზოგადოებრიობა მოელოდა კორეაში საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და მშვიდობის დამყარებას. პოლონეთის გაზეთი „გოლოს პრაცი“ წერდა: „საბჭოთა მთავრობის ინიციატივით თითქმის ორი წლის წინათ დაწყებული საზავო მოლაპარაკება ამჟამად უნდა დამთავრდეს იმით, რაც მხურვალე სურს მთელ კაცობრიობას — ე. ი. მშვიდობით“.

მაგრამ მშვიდობის გზაზე სერიოზულ დაბრკოლებად აღიმართა ლი სინ მანის ბანდიტური ხროვა. 17 ივნისს ღამით ლი სინ მანის ბრძანებით პუსანის, მასანისა და სამხრეთ კორეის სხვა ბანაკებიდან, რომლებიც ამერიკის სარდლობის კონტროლს ექვემდებარებიან, „განთავისუფლებულ“ იქნა კორეის სახალხო არმიის 25 ათასი ტყვე მებრძოლი. ეს ტყვეები შეთანხმების მიხედვით ნეიტრალური ქვეყნების კომისიის მეურვეობაში უნდა გადაეცათ. განაგრძობდნენ რა თავიანთ ავანტიურისტულ ღონისძიებას, ლისინმანელმა არამზადებმა 19 ივნისს კიდევ 1.813 სამხედრო ტყვე აიძულეს დაეტოვებინათ სამხედრო ბანაკები. 20 და 21 ივნისს გრძელდებოდა ტყვეების იძულებითი „განთავისუფლება“. ამრიგად „განთავისუფლებულ“ იქნა 27 ათასზე მეტი სამხედრო ტყვე.

ლისინმანელთა პროვოკაციის გამო იუნაიტედ პრესის სააგენტო 19 ივნისს იუწყებოდა: „ლი სინ მანმა გაათავისუფლა ტყვეები, მაგრამ მათი რეპატრიაცია არ მოუხდენია. ფაქტიურად მან ერთ დღეში გააკეთა ის, რის გაკეთებასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობა ორი წელია ცდილობს“.

ამის გამო კორეის სახალხო არმიის უმაღლესი სარდალი კიმ ირ სენი და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალი პინ დე-ხუეი გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ მარკ კლარკისადმი გაგზავნილ საპროტესტო წერილში წერდნენ: ...„თქვენს მხარეს არ მიუღია არავითარი ნამდვილი ღონისძიება, რათა არ დაეშვა და შეეჩერებინა ეს ინციდენტი. ეს ამტკიცებს, რომ თქვენი მხარე განზრახ უწყობდა ხელს ლისინმანელთა ხროვას სამხედრო ტყვეთა შესახებ შეთანხმების დარღვევის და დაზავების მიღწევის ჩაშლის იმ გეგმის განხორციელებაში, რაც ამ ხროვას დიდი ხანია განზრახული ჰქონდა“.

წერილში დროულად იყო დაყენებული საკითხი: ვრცელდება თუ არა კორეაში დაზავება ლისინმანელთა ხროვაზე? და თუ არ ვრცელდება, რა გარანტიაა, რომ იგი შეასრულებს შეთანხმებას დაზავების შესახებ?

ყველაფრიდან ჩანს, რომ ლი სინ მანის ბანდიტურ ხროვას არ სურს კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა. ლი სინ მანის მიზანია გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალები გამოიყენოს ჩრდილოეთ კორეის დასაპყრობად. ამრიგად სურს მიაღწიოს კორეის იძულებით გაერთიანებას. კორეელი სამხედრო ტყვეები ლი სინ მანს იძულებით შეჰყავს თავის არმიაში. სამხედრო ტყვეების „განთავისუფლება“, მათი იძულებით ჩარიცხვა სამხრეთ კორეის არმიაში მიზნად ისახავს ჩაფუშოს საზავო მოლაპარაკება და შეუძლებელი გახადოს კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა.

ლისინმანელთა პროვოკაციამ აღაშფოთა მსოფლიო საზოგადოებრიობა. დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბურეუაზიულ წრეებშიც. ინგლისის მთავრობამ სპარტესტო ნოტა გაუგზავნა ლი სინ მანის ხროვას. პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა ლისინმანელთა ხროვის ეს პროვოკაცია დააახასიათა როგორც „ფარული და ვერაგული მოქმედების უაღრესად გულდასმით შემუშავებული ფორმა“.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს, რომ იგი ცდილობს ლი სინ მანი დაიყოლიოს დროებით ზავზე. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კორეაში გაგზავნა თავისი პირადი წარმომადგენელი რობერტსონი. რობერტსონის ხანგრძლივი მოლაპარაკება სინამდვილეში მიზნად ისახავდა ლისინმანელთა ხროვის წაქეზებას. ლი სინ მანს რობერტსონთან თავი მედიდურად ეჭირა, გაბედულად აყენებდა ავანტიურისტულ მოთხოვნებს.

სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ლი სინ მანი მოითხოვს ამერიკელებმა მასთან დადონ „ურთიერთთავდაცვის პაქტი“ და სამი თვით შეზღუდონ პოლიტიკური კონფერენცია, თუ ამ ხნის განმავლობაში პოლიტიკური კონფერენცია ვერ გამონახავს ლი სინ მანისათვის დამაკმაყოფილებელ გზებს კორეის გასაერთიანებლად, მაშინ მას სურს შეერთებულმა შტატებმა მასთან ერთად განაახლონ ომი.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, რობერტსონმა წამოაყენა „კომპრომისული გეგმა“, რომელიც 90 დღით განსაზღვრავს პოლიტიკური კონფერენციის მუშაობას. ამის შემდეგ კორეის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხი კვლავ გადაუწყვეტელი თუ დარჩება, შეერთებული შტატები დატოვებენ კონფერენციას და დიპლომატიურ სფეროში „განიხილავენ“ კომუნისტების წინააღმდეგ ომის „განახლების“ საკითხს.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატები ფორმალურად კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტაზე ლაპარაკობენ, ნამდვილად კი დაზავების განხორციელებამდე ადგენენ ომის კვლავ განახლების გეგმას.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ყველაფერი ეს კეთდება ლი სინ მანის დასამშვიდებლად, თითქოს მხოლოდ ლი სინ მანია დაბრკოლება მშვიდობის გზაზე. ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის კორესპონდენტის ცნობით, გენერალი კლარკი ფიქრობს, რომ ლი სინ მანი უარს იტყვის დაიცვას დროებითი ზავის პირობები და ნებას არ მისცემს, რომ მისი არმია ორი კილომეტრით დასწიონ უკან ფრონტის ხაზიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები ხელს მოაწერენ დროებით ზავს, ლი სინ მანი „მარტოდმარტო განაგრძობს ომს“.

რა მოხდება, რომ ლი სინ მანის „არმიამ“ მართლაც მარტოდმარტოდ განაგრძოს ომი კორეაში? რეაქციონერ სენატორთა აზრით, ლი სინ მანი იმდენად დიდი ძალაა კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მას არ უნდა შეუშვიტონ საჰაერესა და მასალების მიწოდება. თვით ლი სინ მანი კი ფიქრობს, რომ თუ იგი მარტოდმარტო იბრძოლებს კორეაში, განწირული აღმოჩნდება დასალუპავად. ამერიკის შეერთებული შტატები კი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ ამ „ატასტროფას“ და იძულებული გახდებიან მას მხარი დაუჭირონ.

ამრიგად, ლი სინ მანი უადვილებს ამერიკელ მონოპოლისტებს აკეთონ თავიანთი ბნელი საქმეები.

მშვიდობა ხელსაყრელი არ არის ამერიკელი მონოპოლისტებისათვის. კორეაში სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხზე შეთანხმების ხელმოწერა მტკივნეულად შეიგ

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 14 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოქვეყნა ცნობა, რომ სახალხო ჯარები ცენტრალური ფრონტის ცალკეულ უბნებზე გაფთრებულ თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ.

გუშინ ღამით ჰაერის ამერიკელმა მეკობრეებმა მოახდინეს თავდასხმა ჩუნხვის მაზრის (სამხრეთ ფხენიანის პროვინცია) დასახლებულ პუნქტებზე და უწესრიგოდ დაბომბეს ისინი.

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკე

ბეიკინი, 14 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

14 ივლისს გაიმართა ორივე მხარის დელეგაციების დახურული სხდომა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 15 ივლისს დილის 11 საათისათვის.

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციის პროგესი

ბეიკინი, 14 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დღეს გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

12 ივლისს 21 საათსა და 10 წუთზე მეორე მხარის პოზიციებიდან ნასროლი ერთ-ერთი ყუმბარა დაეცა და აფეთქდა პანმიჯონის კონფერენციის რაიონის ფარგლებში, მისი საზღვრიდან 150 მეტრზე.

14 ივლისს კორეა-ჩინეთის მხარის უფროსმა მეკავშირე ოფიცერმა მეორე მხარის უფროს მეკავშირე ოფიცერს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მეორე მხარის სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს ამ ინციდენტს. წერილში აღნიშნულია, რომ ეს ინციდენტი არა მარტო პირდაპირი დარღვევაა შეთანხმებისა კონფერენციის რაიონის უშიშროების შესახებ, არამედ მას შეუძლია გამოიწვიოს არასასიამოვნო შედეგებიც ორივე მხარისათვის.

წერილი შეიცავს მოთხოვნას, რომ მეორე მხარემ უზრუნველყოს თავისი შეიარაღებული ძალების პერსონალის მიერ მტკიცე დისციპლინის დაცვა, რათა მომავალში აღარ გამეორდეს მსგავსი ინციდენტები.

მოლაპარაკება იტალიის მთავრობის შედგენის შესახებ

რომი, 14 ივლისი. (საკდესი). დღეს დე გასპერიმ ინახულა რესპუბლიკის პრეზიდენტი ეინაუდი და აცნობა მას, რომ თანახმაა შეადგინოს მთავრობა.

იტალიის პოლიციის თვითნებობა

რომი, 14 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ 13 ივლისს პიომბინოში (ლიგორნოს პროვინცია) პოლიციის დიდი რაზმები თავს დაესხნენ მოქალაქეთა 2-ათასიან კოლონას, რომლებმაც საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყეს მეტალურგიულ საწარმო „მაგონა დ'იტალიიდან“ 2.000 მუშის დათხოვნის წინააღმდეგ. პოლიციელთა თავდასხმის შედეგად ბევრი დემონსტრანტი დაიჭრა. იტალიის პოლიციის უხეში თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად პიომბინოს მეორე მეტალურგიული საწარმოს „ილვის“ მუშებმა დაუყოვნებლივ გამოაცხადეს საპროტესტო გაფიცვა.

მდგომარეობა ეგვიპტეში

კაირო, 14 ივლისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, მას შემდეგ, რაც ეგვიპტემ უარყო ინგლისის ულტიმატუმი ერთი ინგლისელი მფრინავის დაბრუნების შესახებ, რომელიც, ინგლისის მხარის სიტყვით, დაიკარგა 9 ივლისს ისმაილიაში, და ინგლისის სარდლობა შეუდგა 13 ივლისს დილით თავისი მუქარის განხორციელებას, დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა არა მარტო ისმაილიაში, არამედ სუეცის არხის მთელ ზონაშიც. ისმაილიასა და პორტ-საიდში ინგლისელებმა საგანგებო წესები გამოაცხადეს. ამ ქალაქების მისადგომები ბლოკირებულია. მატარებლებს, ავტობუსებსა და ავტომანქანებს ჩხრეკენ.

გაზეთ „ალ-მისრის“ ცნობით, პორტ-საიდში აკრძალულია კრებები და დემონსტრაციები. ინგლისელ ჯარისკაცებს ნება ეძლევათ გამოვიდნენ ბანაკებიდან მხოლოდ ჯგუფებად. იუწყებიან ეგვიპტელთა დაპატიმრებისა და ინგლისელ ჯარისკაცებსა და მოსახლეობას შორის შეტაკებათა ცალკეული შემთხვევების შესახებ. როგორც გაზეთი „ალ-აჰბარი“ წერს, ისმაილიაში დაპატიმრებულია 27 ეგვიპტელი.

როგორც გაზეთი „ალ-მისრი“ აღნიშნავს, გაუქმებულია იმ ეგვიპტელ ჯარისკაცთა და პოლიციელთა შვებულებები, რომლებიც სუეცის არხის ზონაში მსახურობენ, და შვებულებაში მყოფ პირებს უკან იწვევენ ნაწილებში.

პრესის ცნობებით, ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა სალაh სალემმა თავის 13 ივლისის განცხადებაში ბრალი დასდო ინგლისის საქმეთა რწმუნებულს ეგვიპტეში ჰენკის იმაში, რომ მან პროვოკაციულად გამოიწვია ამბები კამალიკის ზონაში. „ეს პროვოკაციები, — თქვა სალემმა, — ჰენკიმ შეიმუშავა მას შემდეგ, რაც მან ამას წინათ რამდენიმე დღეს დაჰყო ისმაილიაში“.

პარიზის მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია

პარიზი, 14 ივლისი. (საკდესი). დღეს პარიზში გაიმართა მშრომელთა მრავალსაათიანი ტრადიციული დემონსტრაცია, მიძღვნილი ბასტილიის აღების წლისთავისადმი. დემონსტრანტებმა ჩაიარეს ბასტილიის მოედნიდან ერის მოედნამდე, სადაც დადგმული იყო ტრიბუნა, რომელზეც იმყოფებოდნენ საფრანგეთის მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწე მარსელ კაშენი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ვალდეკ როშე და ფლორიმონ ბონტი, პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრი დ'ასტიე დე ლავიჟერი, პასტორი ბოსკი და სხვები.

დემონსტრაციაში, რომელიც მიმდინარეობდა მოქმედების ერთიანობის განმტკიცების ლოზუნგით, ვიეტნამში ომის შეწყვეტისათვის, დაპატიმრებულ პატრიოტთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის, დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ლოზუნგებით, მონაწილეობა მიიღო პარიზის სხვადასხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ხუთი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევას ყველა სადავო საკითხის გადასაჭრელად. დემონსტრანტთა შორის იყო აგრეთვე თადარიგის ფრანგ ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა კოლონა გენერალ პეტის მეთაურობით. ისინი მოითხოვდნენ საფრანგეთის არმიისათვის ეროვნული ხასიათის შენარჩუნებას და ევროპოდებული „ევროპის არმიის“ შექმნის ცდებზე უარის თქმას.

დემონსტრაცია გამოხატავდა ფრანგ მშრომელთა ნებას — განაგრძონ დაუცხრომელი ბრძოლა დემოკრატიული თავისუფლებებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის.

დემონსტრაციის დროს ერის მოედანზე, ტრიბუნის მახლობლად, პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტთა ჯგუფს მოხდა შეტაკება, რომლის შედეგად დემონსტრანტთა შორის ბევრი დაჭრილი და მოკლული. დაჭრილი არიან პოლიციელებიც.

ავსტრიასა და ბულგარეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამო

ვენა, 15 ივლისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ დღეებში ავსტრიასა და ბულგარეთს შორის ხელმოწერილ იქნა სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც აწესრიგებს საქონელგაცვლასა და გადასახლებებს ორივე ქვეყანას შორის 1954 წლის 30 ივნისამდე.

გაზეთ „დი პრესეს“ ცნობებით, ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ავსტრია ბულგარეთს მიაწოდებს 261 მილიონი შილინგის საქონელს, ხოლო ბულგარეთი ავსტრიას — 258 მილიონი შილინგის საქონელს.

ეს ნიშნავს საქონელგაცვლის მნიშვნელოვნად გადიდებას ორივე ქვეყანას შორის. „დი პრესე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1952-1953 წლების სახელშეკრულებო პერიოდთან შედარებით ვაჭრობა ავსტრიასა და ბულგარეთს შორის 2,5-3-ჯერ დიდდება.

ხელშეკრულების შესაბამისად ბულგარეთი ავსტრიას მიაწვდის თამბაქოს, კვერცხს, ხილს, ბოსტნეულს, ჭვავსა და ხორბალს.

ავსტრია ბულგარეთს მიაწვდის ნაგლინს, ფოლადს, სამთო მრეწველობის მოწყობილობას, ამწეებს და სხვ.

უნგრელი მუშების წერილი ავსტრიის მშრომელებისადმი

ვენა, 14 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმმ“ გამოაქვეყნა ჩეპელის (ბუდაპეშტის რაიონი) ფოლადსამსხმელო ქარხნის მუშების წერილი ავსტრიის მშრომელებისადმი. წერილი უარყოფს ამერიკის რადიოს სიცრუეს „გაფიცვების“ შესახებ, რომლებიც თითქოს ბუდაპეშტის საწარმოებში იყო.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მუშებს, ნათქვამია წერილში, არა აქვთ არავითარი საბაბი გაფიცვისათვის. ჩვენ ვცხოვრობთ შესანიშნავ პირობებში. ჩვენთვის შენდება ახალი დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, კულტურის სასახლეები და სკოლები, ბიბლიოთეკები და სასპორტო მოედნები. ჩვენ, უნგრეთის მშრომელებმა, კარგად ვიცით, რისთვის ვმუშაობთ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ მიერ ხელისუფლების ორგანოებში არჩეული წარმომადგენლები იცავენ მშრომელთა ინტერესებს, მშვიდობასა და ხალხის კეთილდღეობას. ჩვენი ქარხნის მუშებს, მოსამსახურეებსა და ინჟინრებს ომის გამჩაღებლების სიცრუესა და პროვოკაციებზე შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი პასუხი — გამოადნონ მეტი ფოლადი ჩვენი მშვიდობიანი მრეწველობისათვის მანქანებისათვის, ტურბინებისათვის, ტრაქტორებისა და ხიდებისათვის.

ჩვენ, ჩეპელის მშრომელნი, ნათქვამია დასასრულ წერილში, მოვუწოდებთ ავსტრიის მშრომელებს არ დაუჯერონ ცრუ პროპაგანდას. არც ერთი უნგრელი მუშა არ გაიფიცება თავისი ინტერესების წინააღმდეგ, თავისი მთავრობისა და თავისი პარტიის წინააღმდეგ.

ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება

ლონდონი, 15 ივლისი. (საკდესი). ამ დღეებში ლონდონში გაიმართა სხდომა ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ახალი გენერალური საბჭოსი, რომელიც არჩეულ იქნა მანჩესტერში მშვიდობის დაცვისათვის მოქმედების კონგრესზე.

ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მიერ გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ გენერალურმა საბჭომ გადაწყვიტა მთელი ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტებს მიმართოს მოწოდებით მხარი დაუჭიროონ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიის დეკლარაციას მოლაპარაკების საპარგებლოდ მსოფლიო კამპანიის დაწყების შესახებ.

გენერალურმა საბჭომ აგრეთვე გადაწყვიტა გაუგზავნოს ინგლისის მთავრობას წერილი, რომელშიც მის ყურადღებას მიაქცევს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას, და მოითხოვოს, რომ ინგლისის მთავრობამ მხარი დაუჭიროს ნერუს წინადადებას კორეაში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მოწვევის შესახებ და დასახოს დიდი სახელმწიფოების შეხვედრის თარიღი და ადგილი.

გენერალური საბჭოს სხდომაზე გამოაცხადეს, რომ უკანასკნელი ექვსი კვირის განმავლობაში 30 ათასზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი პარლამენტის წევრებისადმი პეტიციებს, რომლებიც მოუწოდებენ მათ მოითხოვონ მოლაპარაკება ჯარიმით, ოფიციალური მონაცემების თანახმად, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა, ქალაქ ბეირუთში ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მხოლოდ 43 პროცენტმა, ხოლო მთის ლიბანის ოლქში — 54,8 პროცენტმა.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბეირუთიდან იუწყება, არჩევნებში მარცხი განიცადეს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ბეშარ ელ-ხურის მომხრეებმა — დუსტურისტთა პარტიის წარმომადგენლებმა.

არჩევნების მეორე ტური გაიმართება სამხრეთ ლიბანში 19 ივლისს.

ლიბანის პარლამენტის არჩევნები

ბეირუთი, 14 ივლისი. (საკდესი). 12 ივლისს ლიბანში გაიმართა პარლამენტის არჩევნების პირველი ტური ქალაქ ბეირუთისა და მთის ლიბანის ოლქის საარჩევნო ოლქებში.

ლიბანის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა არჩევნების შედეგები. სულ არჩევნების პირველ დღეს არჩეულ იქნა 21 დეპუტატი, მათ შორის 11 — ძველი პარლამენტის დეპუტატი. არჩეულ დეპუტატთა შორის არის საიბ სალემის ახლანდელი მთავრობის ორი მინისტრი.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებზე გამოუცხადებლობისათვის ამომრჩევლებს დაემუქრნენ 50-დან 100 ლიბანურ გირვანქა სტერლინგამდე ჯარიმით, ოფიციალური მონაცემების თანახმად, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა, ქალაქ ბეირუთში ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მხოლოდ 43 პროცენტმა, ხოლო მთის ლიბანის ოლქში — 54,8 პროცენტმა.

საგაფიცვო მოძრაობა იაპონიაში

შანხაი, 14 ივლისი. (საკდესი). როგორც იაპონიის სააგენტო კიოდო ცუსინი იუწყება, გუშინ იაპონიის ექვსი მთავარი საფეიქრო კომპანიის მუშებმა და მოსამსახურეებმა, კომპანიებისა, რომლებიც შალის ქსოვილს უშვებენ, 24 საათის გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. გაფიცვამ მოიცვა შემდეგი კომპანიების საწარმოები: „ტოა“, „ტატო“, „დაიდო“, „დასივა“, „იციკავა“ და „ჯაპან ფელტი“.

იაპონიის რადიოს ცნობით, გუშინ დამთავრდა კნოკომპანია „სოციეკუს“ პროფკავშირის მუშაკთა გაფიცვა. ეს პროფკავშირი ემხრობა კინოსა და თეატრის მუშაკთა სრულიად იაპონიის კავშირს. გაფიცულებმა მიაღწიეს თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას სიძვირის გამო საზაფხულო დახმარების მიცემის შესახებ.

პარიზის-ბუენოს-აირესის თეატრის გასტროლები

(მეშვიდე და მერვე დღე)

14 ივლისს, ს. ორჯონიკიძის სახელობის თეატრის სახელმწიფო თეატრმა უჩვენა თბილისის მაყურებელს ჟ. მიუფკეს პიესა „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“. დადგმა ეკუთვნის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულ რეჟისორ-დიპლომანტს ვ. მოდებაძეს. სპექტაკლი მხატვრულად გაფორმა ი. პეტრაიტისმა. მუსიკა ეკუთვნის შ. კიკვიძეს.

15 ივლისს ნაჩვენები იქნა სტალინური პრემიის ლაურეატის ჰუსეინ მუხთაროვის პიესა „ოჯახის ღირსება“. პიესა დადგა რეჟისორმა რ. ქართველიშვილმა, გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ი. პეტრაიტისს, მუსიკა — შ. კიკვიძეს.

სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ა. ივერიელი (ბიკე), პ. აბვლედიანი (ბაირამი), მსახიობები: გ. მამუჩიშვილი (ალანი), თ. მანველიშვილი (იაზგული), დ. სხირტლაძე (ყურბანი), ბ. ჯავახია (ატა), მ. აბაშიძე (ზინა), ს. მანანაშვილი (ალთი).

სპექტაკლები მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

პრემიერა მუსიკალური კომედიის თეატრში

13 ივლისს თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა მაყურებელს უჩვენა შ. მილორავას ახალი მუსიკალური კომედია „მათი ოცნება“. დადგმა ეკუთვნის რუსეთის დამსახურებულ არტისტს ბ. გამრეკელს. მხატვრულად გაფორმა მ. გოცირიძემ. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნ. მოსეშვილმა, ნ. თულაშვილმა, ქ. კობახიძემ, ა. მეწულიშვილმა, ი. ბაკაკურმა, ვ. გერსამიას და სხვებმა.

საჯარო ბიბლიოთეკაში

დიდი რუსი პოეტის ვ. მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში 14 ივლისს გაიხსნა გამოფენა. სამ დიდ სტენდზე ეექსპონირებულია პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ფოტოსურათები, წიგნები ქართულ და რუსულ ენებზე და სხვ.

კარგად არის მოწყობილი განყოფილებები „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ვ. მაიაკოვსკის შესახებ“, „ვ. მაიაკოვსკის შემოქმედება“, სადაც წარმოდგენილია პოეტის ნაწარმოებთა გამოცემები. საინტერესოა განყოფილებები — „მაიაკოვსკი საქართველოში“ და „მაიაკოვსკის შესახებ“.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი საბჭო შეიმუშავა საქართველოს ბუნებრივი რესურსების კრებულის გამოცემაზე. კრებული ოთხი ტომისაგან შედგება. პირველი ორი ტომი მზად არის გამოსაცემად, მთავრდება მე-3 ტომი, ხოლო მე-4 ტომი გამოვა მომავალ წელს. კრებულის პირველ ტომში შევიდა ულითონო მადნეულები, მეორე ტომში ლითონმადნეულები, მესამე ტომში ენერგეტიკული რესურსები, ხოლო მეოთხე ტომში — ნიადაგები, ტყეები, საკვები რესურსები და სხვ.

მაღალხარისხოვანი პარფიუმერია მოსახლეობას

„გლავპარფიუმერის“ ტრესტ „საქართველოს ეთერ-ზეთის“ გასაღების განყოფილება მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა და სხვა საპარფიუმერო ქარხნებიდან იღებს დიდძალ სხვადასხვა სახის საქონელს, რომელიც იყიდება საფირმო მაღაზიებსა და რესპუბლიკის სხვა სავაჭროებში. ტრესტის ორი საფირმო მაღაზია თბილისში — ლენინის სახელობის მოედანზე და რუსთაველის პროსპექტზე — უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი საქონლით. მაღაზიებში ყოველთვის აქვთ რამდენიმე ათეული სახელწოდების სუნამო და ოდეკოლონი „წითელი მოსკოვი“, „მანონი“, „კრემლი“, „თეთრი ოასამანი“ და სხვ.

მიმდინარე წლის 6 თვეში გაყიდა 18.800 ათასი მანეთის პარფიუმერია და კოსმეტიკის ნაწარმი და 8 მილიონ 600 ათასი მანეთის ხელის საპონი.

რედაქტორი დ. მჟედლიშვილი.

ვიღსონის შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 15 ივლისი. (საკდესი). ყოფილი ვაჭრობის მინისტრი ლეიბორისტი ჰაროლდ ვილსონი თემთა პალატაში შეტანილ თავის შეკითხვაში შეეხო ამერიკის მთავრობის „სამუშაოო გადაწყვეტილებას“ უარი უთხრას ცეილონს ჰელიკოპტერის მიცემაზე (დაავადებული კაუჩუკის ხეების მოსასხურებლად) იმასთან დაკავშირებით, რომ ცეილონს კაუჩუკი გააქვს ჩინეთში. ვილსონმა იკითხა, დათანხმდება თუ არა ინგლისი მისცეს ცეილონს ჰელიკოპტერი, თუ მას მიმართავენ ასეთი თხოვნით, და ითხოვა, რომ საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტმა მთელი შესაძლო დახმარება გაუწიოს ცეილონს ამ საქმეში.

უპასუხა რა საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის სახელით, დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ჭეკოკომპანია „სოციეკუს“ პროფკავშირის მუშაკთა გაფიცვა. ეს პროფკავშირი ემხრობა კინოსა და თეატრის მუშაკთა სრულიად იაპონიის კავშირს. გაფიცულებმა მიაღწიეს თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას სიძვირის გამო საზაფხულო დახმარების მიცემის შესახებ.

ფეხბურთი

„ა“ კლასი

15 ივლისი. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1. ფრედ (0:0) დამთავრდა ხარკოვში, აგრეთვე ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდების შეხვედრა.

ბაკინელ ალპინისტთა ექსპედიცია

ბაკინელ ალპინისტთა ექსპედიციამ ავიაციის საშუალებით ალპინისტური ბანაკი ააშენა ალაზანზე, ბაკურიანის ტბიდან 3.000 მეტრზე. ალპინისტებმა ბანაკიდან ასვლა დაიწყეს ალაზნის ხეობის ერთ-ერთ ყველაზე ძნელ ადგილებზე. ალპინისტებმა ასვლა ბანაკიდან 4.000 მეტრზე ერთ დღეში ჩაატარეს. ალპინისტებმა ასვლა 5.000 მეტრზე ორ დღეში ჩაატარეს. ალპინისტებმა ასვლა 5.000 მეტრზე ორ დღეში ჩაატარეს. ალპინისტებმა ასვლა 5.000 მეტრზე ორ დღეში ჩაატარეს.

ბაკინელ ალპინისტთა ექსპედიცია

ბაკინელ ალპინისტთა ექსპედიციამ ავიაციის საშუალებით ალპინისტური ბანაკი ააშენა ალაზანზე, ბაკურიანის ტბიდან 3.000 მეტრზე. ალპინისტებმა ბანაკიდან ასვლა დაიწყეს ალაზნის ხეობის ერთ-ერთ ყველაზე ძნელ ადგილებზე. ალპინისტებმა ასვლა ბანაკიდან 4.000 მეტრზე ერთ დღეში ჩაატარეს. ალპინისტებმა ასვლა 5.000 მეტრზე ორ დღეში ჩაატარეს. ალპინისტებმა ასვლა 5.000 მეტრზე ორ დღეში ჩაატარეს. ალპინისტებმა ასვლა 5.000 მეტრზე ორ დღეში ჩაატარეს.

საბჭოთა მოჭადრაკეები მოსკოვს დაბრუნდნენ

14 ივლისს პარიზიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მოჭადრაკეების ჯგუფი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო 15 ივლისისათვის ნიუ-იორკში დანიშნულ მატჩში ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან.

როგორც პრესაში იყო გამოქვეყნებული, ამერიკის ხელისუფლებამ საბჭოთა მოჭადრაკეებს პირობად დაუდეს არ გასულიყვნენ ქალაქ ნიუ-იორკის ფარგლებს გარეთ, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობის კუთვნილ აგარაკზე ქალაქ გლენკოვში ეკლოთ მხოლოდ დღისით, ამასთან ყოველ ცალკე შემთხვევაში საიმიგრაციო ხელისუფალთა ნებართვით და ღამე არ გაეთიათ ამ აგარაკზე.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციამ და საბჭოთა მოჭადრაკეებმა აზრი გამოთქვეს ამ შეზღუდვის წინააღმდეგ, ამერიკის ხელისუფლებამ უარი თქვეს ამ შეზღუდვის გაუქმებაზე. ზემოაღნიშნულის გამო საბჭოთა მოჭადრაკეებმა შეუძლებლად ჩათვალეს ნიუ-იორკში ჩასვლა და აღნიშნულ მატჩში მონაწილეობის მიღება.

დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება ნიჩბოსნობაში

13 და 14 ივლისს მოსკოვში მიმდინარეობდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ნიჩბოსნობაში აკადემიური ნავებით, აგრეთვე ბაიდარებთა და კანოეებით. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის გუნდები.

14 ივლისს დილით მდინარე მოსკოვზე მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის გრანიტის ტრიბუნებთან გაიმართა ბაიდარებით და კანოეებით რბოლა. დისტანცია იყო 10.000 მეტრი.

პირველმა აიღო სტარტი ორადგილიანი ბაიდარების ნიჩბოსნებმა. საუკეთესო შედეგს მიაღწიეს ი. ურანინმ და ფ. ვარგამ (უნგრეთი). მათ 10.000 მეტრი გაიარეს 44 წუთსა და 59,2 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდნენ აგრეთვე უნგრეთის გუნდის წარმომადგენელნი ძმები დ. და ი. მესაროშები და მესამეზე — ჩეხოსლოვაკიის ნიჩბოსნები — ს. გოიგრი და მ. ემელკა.

ერთადგილიანი ბაიდარებით გაიმარჯვა ფ. ხატლაკემ (უნგრეთი), რომლის შედეგია 49 წუთი და 57,4 წამი. მეორე ადგილი დაიკავა ზ. სიგეტიმ (უნგრეთი) და მესამე ი. სოტნიკოვმა (სსრკ კავშირი).

გუშინდელ შეჯიბრებაში ორადგილიანი კანოეებით ჩეხოსლოვაკიის ნიჩბოსნებმა ძალიან ძლიერი ტემპი განავითარეს, მაგრამ წინ გაჭრა ვერ მოახერხეს. ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენებმა ნ. პეტროვზჩოკოვმა და ვ. ორიშჩენკომ ხელი იგდეს ინიციატივა და პირველნი მივიდნენ ფინიშზე. 10.000 მეტრი ნ. პეტროვზჩოკოვმა და ვ. ორიშჩენკომ გაიარეს 53 წუთსა და 46.2 წამში. ჩეხოსლოვაკიის ნიჩბოსნები ი. სიგეი და ზ. ციგლერი 11 წამით ჩამორჩნენ მათ.

ერთადგილიანი კანოეებით რბოლა 10.000 მეტრ დისტანციაზე მოიგო ი. ვოკნერმა (ჩეხოსლოვაკია). მეორე მოვიდა გ. ნოვაკი (უნგრეთი).

შეჯიბრება დამთავრდა. ისე როგორც საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სპორტსმენთა წინანდელი შეხვედრები, იგი ხელს შეუწყობს ფიზკულტურელთა ოსტატობის ზრდას, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას. (საკდესი).

სპორტსმენ ვ. კუზნეცოვის ახალი საკავშირო რეკორდი

14 ივლისს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე მძლეოსანთა შეჯიბრებაში რუსეთის სფსრ პირველობაზე კონკურსგარეშე გამოვიდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა ჯგუფი.

შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ვლადიმერ კუზნეცოვმა („სპარტაკი“). მან შუბი ტყორცნა 76 მეტრსა და 59 სანტიმეტრზე. ეს შედეგი 39 სანტიმეტრით აღემატება ვიეთა შორის შუბის ტყორცნის საკავშირო რეკორდს, რომელიც ვ. კუზნეცოვსვე ეკუთვნის.

სსრ კავშირის რეკორდსმენი 22 წლისაა. იგი ოთხი წელიწადია მისდევს ამ სპორტს. (საკდესი).

ოლიმპიადა ... ქალაქის ... ...